

619
1952



ქართული
ენციკლოპედია

დროშა

№ 3 მარტი 1952





ქართული
ბიბლიოთეკა





ნ. ვ. ბოგოლოვი

ნახატი უჩა ჯაფარიძისა



— ერთი სიტყვით, არ დაგავიწყდეთ: გოგოლის ქუჩა, გურამიშვილის სახელობის სკოლა, — მეუბნებოდა თებერვლის სუსხიან დღით მირგოროდის სადგურზე ჰაღარა, დაახლოებით სამოცი წლის ეგვიპტი ანტონის-ძე კაზუტა, რომელიც მატარებელში ჩემთან ერთად მგზავრობდა.

იგი დამსახურებული მასწავლებელი და მირგოროდის ძველი მცხოვრები აღმოჩნდა და ხალისიანად მისახელებდა ყველაზე უფრო საყურადღებო ადგილებს უკრაინის ამ ქალაქში, რომელიც თანაბრად მშობლიური იყო, როგორც გურამიშვილის, ისევე გოგოლისა და შეგჩენკოსათვის. ისინი აქ ცხოვრობდნენ, აქ წერდნენ...

ახლა გოგოლის ფართო ქუჩაზე მირბიან გურამიშვილის სახელობის სკოლისაკენ მხიარული, სიცოცხლით სავსე უკრაინელი გოგონები და ბიჭუნები. ქართველი ბოეტის საფლავეზე კი სწრაფად იზრდებიან გასულ წელს საქართველოდან ჩამოტანილი მუხის ნერგები.

თბოშლიანელ სახალხო ოსტატების მიერ ფერადი კერამიკით მორთულ სადგურის თეთრ ფასადზე გამოსახულია მრავლისმთქმელი წარწერა: „1852 წელი“. იგივე წარწერა კულტურის სახლის შესავალთან, მაღალ კოლონადაზე დაყრდნობილ თაღზე და ელექტროსადგურის მთავარ კორპუსზე. შეიძლება იმიტომაც, რომ მირგოროდი ასე ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის, პიტლერული განდაღები ამ ადგილებში განსაკუთრებით მძინვარებდნენ; სწავდნენ სახლებს, აფეთქებდნენ ქვის შენობებს. მთელი ქალაქი ხელახლა აშენდა და აშენდა ისე რომ ყველაფერი უფრო კარგად, უფრო ლამაზად გამოიყურება.

გოგოლის თანამედროვე გეოგრაფი, ზიბლოვსკი წერდა: „მირგოროდი ბატარა ქალაქია მდინარე ხოროლთან. მას აქვს ერთი თოქსაგრენი ფაბრიკა, ერთი აგურის ქარხანა, ოთხი წყლისა და ორმოცდახუთი ქარის წისქვილი. სკოლებში სწავლობს 36 მოსწავლე, მათ შორის 18 თავად-აზნაურის შვილია, 11 ობერ-ოფიცრის, 2-კი სასულიერო წოდებისა“. თვითონ გოგოლი, როგორც ცნობილია, მირგოროდის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ადგილად სთვლიდა წუმბეს, რომელიც წელიწადის არც ერთ დროში არ შრებოდა.

მორიდებით ვეკითხები აქაურ მცხოვრებლებს, მაინტერესებს, რა მოუვიდა იმ წუმბეს? ისინი იცინიან და მიმითითებენ მირგოროდის კურორტის მეხუთე კორპუსზე.

— აი, ის ადგილი...


ზამთრობით ყველა სახატორიუმი არ მუშაობს, მაგრამ დამხევენებულთა რიცხვი მაინც რამდენიმე ასეულ კაცს აღწევს. დასასვენებლად ჩამოდიან სამხრეთ სახალინიდან, არხანგელსკის ოლქიდან, ყირგიზეთიდან. ისვენებენ ვოლგა-დონის მშენებლები, დონეცელი მეშახტეები, მურმანსკელი მეთევზეები.

დიდი სამკურნალო თვისებების მქონეა მირგოროდის რადიოაქტიური წყალი. მას თხოულობენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

— ის აღარ არის დღეს მირგოროდი — იმეორებს ბოეტ-აკადემიკოს პ. ტიჩინას სიტყვებს რაილმასკომის თავმჯდომარე, უკრაინის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ფილიპოვი-ძე შეიკო. — ქალაქში ოცი საწარმოო დაწესებულება მუშაობს; ხუთი ათასი მოსწავლე გვეყავს, გვაქვს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საუკეთესო სკოლა, გოგოლის სახელობის კერამიკული ტექნიკუმი კი ყველაზე ბირველია და უდიდესი მთელს უკრაინაში. ტექნიკუმთან გახსნილია კერამიკის — უკრაინელი ხალხისათვის ოდითგანვე ამ კარგად ცნობილი და საყვარელი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა მუზეუმი.

— მომითმინეთ, — შეიკომ სწრაფად გადაშალა წარწერებით აჭრელებული შავი კალენდრის ფურცელი — კინაღამ დამავიწყდა, დღეს ტექნიკუმში იხსნება ხალხური შემოქმედების ნიმუშთა გამოფენა. გოგოლის ახალგაზრდა თანამემამულეებმა მწერლის იუბილეისათვის მოამზადეს ვაზები, კედლის თეფშები, ლანგარები, რომლებზედაც გამოხატულია სოროჩინის, მირგოროდის, დიკანის, გოგოლეკის მიდამოები. ოთხმოცი წლის ოსტატმა, მირგოროდელმა იაკობ ალექსანდრეს-ძე უსიკამა, მსხლის ხეზე ამოჭრა გოგოლის ბარელიეფი. მანვე წარმოადგინა მხატვარ ვ. ა. ვოლკოვის ცნობილი სურათის ხეზე ამოჭრილი რეპროდუქცია — „გოგოლი მირგოროდში“. თბოშლიანელმა სახალხო მხატვრებმა გამოგზავნეს ფერადი თიხისაგან გაკეთებული ბორტრეტები იმ მწერლებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ყოფილან მირგოროდში. მათ შორის ტარას შეგჩენკოს, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ გოგოლის, პანას მირნის, ვლადიმერ კოროლენკოს და სხვების სურათები. წაიკითხო!

გავიარეთ ქალაქის ცენტრი, შევუხვიეთ დიდ ძველებურ ბარკში. აქ გოგოლი ყოველ კუთხეს იცნობდა, ხშირად მჯდარა ამ მრავალწლოვან ხეების ჩრდილში... და აი, ახლაც გაშლილ ადგილას, ტექნიკუმის მთავარ შესასვლელთან დგას თეთ-



გოგოლის გეოგრაფიკული აღზიარება

წერილი უკრაინიდან

გოგოლი ვასილევკაში ატარებდა, უსათუოდ შევიღიდა ხოლმე დიდ-სოროჩინ-შიაც. ამ ჩვეულებას იგი არც შემდეგში დალატობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვასილევკაში, გოგოლისეულ სახლში სკოლა გაიხსნა, ხოლო დიდ-სოროჩინში — ლიტერატურული მუზეუმი, სიყვარულით და სათუთად ინახებოდა მეტრიკული ჩანაწერების დავთარი, რომელშიაც ჩაწერილი იყო მწერლის დაბადების საათი და ადგილი, ინახებოდა მისი წიგნები, ნახატები, სხვადასხვა ნივთები.

პიტლერელებმა დაანგრეს მუზეუმი დიდ-სოროჩინში, დასწვეს მისი სახლი ვასილევკაში, შებალეს დიდი მწერლის მშობლების საფლავები, ააფეთქეს გოგოლიანოვსკების კარის ეკლესია, რომელიც დამსახურებულად ითვლებოდა ძველი უკრაინული არქიტექტურის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლად.

მწერლის თანამემამულეები შეეცადნენ ყველაფერი ხელახლა აღედგინათ. ექიმ ტროფიმიოვსკის ძველი სახლის ნაცვლად აშენდა ლიტერატურული მუზეუმის დიდი, სათელი შენობა.

ხალხმა ხელახლად აღდგინოდა ვასილევკას ახალი სახელი გოგოლეკა უწოდა, ხოლო ახლა, თებერვლის დღეებში გოგოლეკის მცხოვრებლებმა ითხოვეს, რომ მთელ რაიონს დიდი რუსი მწერლის სახელი დაერქვას.

მოსკოვ-ცივივის მაგისტრალზე არის ქალაქი ნეჟინი, რომელსაც ორგველივ ჩერნიგოვის ტყეები აკრავს. ამ ქალაქის ყველაზე უკეთეს ქუჩას გოგოლის სახელი ექვია. რუსული ლიტერატურის კლასიკოსი ჯერ კიდევ ცამეტი წლის იყო, როცა მშობლებმა ნეჟინში ჩამოიყვანეს და უმაღლეს მეცნიერებათა გიმნაზიაში მიაბარეს.

ნეჟინის გიმნაზია თავისი ხასიათით ძალიან წააგავდა ბუშკინის დროინდელ ცარსკოე-სელოს ლიცეუმს. აქაც იყვნენ თავისუფლების მოყვარე მოწინავე პედაგოგები. ლექციები ხშირად იცვლებოდნენ „ბოლიტიკური მსჯელობებით“ და მოწვევებით, მეფის თვითმპყრობლობის თვალსაზრისით „მანვე“ ნაწარმოებებს ეცხოვროდნენ. სწორედ აქ გაეცნო გოგოლი რილევის ლექსებს, კითხულობდა „ბოლი-არნაია ზევედას“, ხელთნაწერების სახით გავრცელებულ ბუშკინის ლექსებს. ბუნებით ავადმყოფი და მორცხვი გოგოლი განცალკევებით იღვა თავის ამხანაგებთან. იგი ბევრ დროს უთმობდა კითხვას. გოგოლის სიყვარული წიგნებისადმი იმდენად ცნობილი იყო, რომ მოსწავლეებმა იგი აირჩიეს შტეროვილი თანხებით გამოწერილი წიგნებისაგან შემდგარი ბიბლიოთეკის მეურვედ.

გიმნაზიის ხელნაწერ კურსალში, „მეტეორ ლიტერატურის“ პირველად გამოქვეყნდა გოგოლის ლიტერატურული ცდები — ლექსები და ტრადედია „ყარა-ღები“. ნეჟინშივე დაწერა ბოემა „განს კუხნელგარტინი“, რომელიც 1829 წელს გამოიცა პეტერბურგში ვ. ალოვის ფსევდონიმით.

გიმნაზიის თეთრი, სვეტიბიანი სახლი ახლაც კარგად არის შენახული. ძველისაგან იგი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მასზე დაშენებულია მესამე სართული. აქაც შრიალდის ძველებური პარკი, შრიალდის უზარმაზარი ცაცხვიც, რომლის ჩრდილში გოგოლმა პირველად სცადა თავისი კალმის ძალა.

ყოფილ გიმნაზიის შენობაში ამჟამად დიდი მწერლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტია, ოღონდ ორმოცდაათი გიმნაზიელის ნაცვლად, იქ ახლა ათას ხუთასამდე სტუდენტი სწავლობს.

შეასვლელთან ნაძვების ხეივანში დგას გოგოლის ძეგლი. ქვაზე ამოკვეთილია მწერლის წინასწარმეტყველური სიტყვები: „გაივლის კიდევ ასი წელი და თქვენ ნახავთ, რომ ევროპა მოვა ჩვენთან არა კანაფისა და ქონის სასყიდლად, არამედ ჭკუის შესაძენად, რომელიც უკვე აღარ იშოვება ევროპის ბაზარზე“.

მირგოროდი — ნეჟინი

1952 წ.

ი. დუბინსკი

ჩემი სოფელი

მელა კახიძე

ჯერ ღრუბლის ფთილები ვილს გადავშურა,
 მერა კი ზვიად მთებს დაუფყო თვალთვალნი.
 მოვდივარ! ნისლები მომდევნე მგზობრად,
 მოვყვებით თემზარას სიამით დამთვრალი.

ბრძნობა ვერ იკავებს სინარულს ნამაღვს;
 ბაგვმობის ოცნების სათავე აქ არის.
 ნიაბი ალმისით მიფაფავს დალაღებს
 და ჩემსკენ გამორბის ხეების ლაშქარი.

ჩემს სულში სულ მუდამა ზაფხულის დარბი,
 და ამ დიდ სინარულს დაჯაბნის როგორი.
 ვიცი ალტაცებამ შენც ხელი დაგრი,
 და განუყოფელი სიამით მოგელი.

ფარფატიტ დამკრინ ზეცაში ფიფქები...
 დაბარდნილ ბიჭობათან ვინ იცის ეგება,
 რამდენჯერ გამოხველ მზარუნველი ფიჭობით,
 ზღარა მფობელი, ჩემს შესაბავებულად.

თუმც ირავლივ თოვლია, სიცივის მთესავი,
 ყინულთა ლოლუა მოისხმს კორდებამ.
 ვაბრამ ჩემს ბულში კი მცხუნვავა მუესავით
 მარად უმკრბელი ბრძნობები ბროვდებამ.

კვლავ შენსკენ ვისწრაფი ბულთბილი სტუმარი,
 შეყინულ წამწამებს მიკოცნის ნამჭარი,
 მე ისევ შენთან ვარ ფრთა გაუხუნარი
 და სოფელს ტრფილით დამთვრალი გავცეპრი.

წყაროთა მიმართულება

ირაკლი არაბული

ამბავს მოყვება, დაატკობს ხმენას,
 მე ყურს მივაბურბ ბულაჩაურელს,
 ანკარა წყარო აიდგამს ენას
 და ჩვენს ბაასში სიტყვას ჩაურევს:

მიწაში ყოფნა როგორ მიმძიმდა,
 დღეს მსურს თქვენს გულლებს წვეთი ვასხურო;
 ამომიყვანეთ ბნელი მიწიდან,
 თქვენს კეთილ საქმეს რომ ვემსახურო.

უწინ თუ ბევრი კირი გადამხდა,
 გზას ვერ მილობავს კლდე და ფერდობი,
 „გზა მშვიდობისა“—ვეტყვი ნატახტარს,—
 მოდი, ვიაროთ ერთად, ერთობლივ“.

კიდევ სათქმელი რაღაცა სურდათ,
 ორივე ერთურთს ჩუმად ჩაუვლის:
 — წყურვილი უნდა მოვუკლა რუსთავს,—
 სიტყვას აგრძელებს ბულაჩაური.

მერე ნატახტარს მოხედავს მორცხვად:
 — ჩემს მეგზურობას ადვილად გასწევს.
 — აბა, რად გინდა მეგზური, როცა
 მიდიხარ დიად მშვიდობის გზაზე.

ჩვენც ხმას ვუერთებთ, მათ გზას დავლოცავთ,
 ვუსურვებთ დენას მარად, უღვევად...
 ასეა, ჩვენში არხსაც, წყაროსაც
 აქვთ ერთი მიზნით მიმართულება.


ეს მშვიდობაა — სიცოცხლე ჩვენი,
 მილიონების გულების ძეგრა;
 ჩვენ წინ მედროულედ მიგვიძღვის ბრძენი
 და გაიმარჯვებს მშვიდობა, გვეჯერა.

1951 წლის სტალინური პრემიის დაურეატიები

სტალინური
 პრემია



ე. ლ. ანდრონიკაშვილი — პროფესორი, შ. ე. მიქელაძე — პროფესორი, ო. ნ. აივაზაშვილი — მერგოლურა, გ. ნ. ლეონიძე — პოეტი-აკადემიკოსი, ვ. ი. ანჯაფარიძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ა. ე. ჩხარტიშვილი — რეჟისორი, ი. გ. სუმბათაშვილი — მხატვარი, ს. ა. ზაქარიაძე — საქ. სსრ სახალხო არტისტი, პ. კ. კობახიძე — საქ. სსრ სახალხო არტისტი, ა. ლ. კვანტალიანი — საქ. სსრ დამსახ. არტისტი, გ. ვ. შავგულიძე — საქ. სსრ დამსახ. არტისტი, ვ. დ. გომიანი — საქ. სსრ სახალხო არტისტი, ა. ა. ოშიაძე — საქ. სსრ დამსახ. არტისტი, ო. ვ. თაქთაქიშვილი — კომპოზიტორი, ბ. ი. ქიაურელი, გ. ვ. ხტიაშვილი, ა. გ. ბეგალიშვილი, გ. კ. ბარნაბიშვილი — საქ. სსრ სახელმწიფო კვარტეტის მსახიობები.



ქუთაისის ოლქში

ფოტო

ს. სკვინის

ქუთაისი-კოპანის რიგ მშენებლობებს

ვად წარმოებს, მათ შორის, ასევე აღნიშნულია შენობების მშენებლობის განხორციელება, როგორცაა მოცოდი და სხვათა კოლხეთის ველურ შუამდგომლობა კი არის, რომ ყველაფერი ამა აქეთის კოლხეთში, რომლის 80-85 პროცენტს ავტომობილი კარგად შეუფერებელია. მათთვისაა და ვიციც ავტოკარბის მუშაკების დახმარებით, ჩვენი ქვეყნის მთავარი ავტოკარბის მფლობელი გამოკვლევის დაწესებულება, ქაბანის ახალგაზრდა კოლხეთის მთავარი მრავალრიცხოვანი კარგები, ათების 31/2 ტონიანი საავტომობილო მანქანი გამოიშვება.

— ამ სურათზე თავი შევადგინე ავტომობილებს, რომლებიც სადგამი ჩამოვლენ მთავარ კონვეიერთან, და საპრობანდო გამოკვლევის შუგულ ხაზად ვაღარაგებენ. ეს ვაღარაგებენ ქაბანის მდებარეობაზე, ამ ვაზზე, რომელიც ქუთაისი ეროვნულია. მთელი ქუთაისის რაიონი ავტოკარბისაა თვის უზარმაზარ საიდრე მინდის წარმოებში. ამ არის მშენებლობის გზატკეცილები, მთავარიანი ადგილები, მრავალი დიდი და პატარა მდინარე, წახ—150—ახეთი ამ მანქანის მარჯვ, რომელიც ამჟამად ქუთაისის ავტოკარბისაა უწყობს. ამ მანქანების წარმოებშიც სტანდის სახეობის მოსკოვის სა ავტომობილო ქარბის მერ გამოიშვებულ მანქანებს. ქუთაისის ავტოკარბის მუშებმა ვაწარგეს მუშობის მანქანის კონსტრუქციას, ვაფუჯის ოქსი და უფრო სრულყოფილი ვაგახეს ოქსი. ასე უფროსა ახალი მარჯ კახ—150. მარჯ ამ რეკ შენობებშიც ქუთაისისთვის. წახ—150-ის მარჯ მათ შექმნის ავტომობილის კიდევ ერთი ახალი მარჯ კახ—585-ის თვითმცოდნე საპარტულები, რომლებიც მუდამ სპარტულები ჩვენი ქვეყნის მზარდ მშენებლობა. ტყუილად ეს არი აქვს ქაბანის დაფუძნებულ კახ—585-ის პარტულები პარტუ დაფუძნების ვიდეა-დონის წინაშის არის მშენებლობის ეს უნდა მოხდეს არაუფროსი მინდინარე წლის მათისა. ახლა ქაბანის კოლხეთში თვითმცოდნე ამ მანქანების გამოიშვება.

— კოპანის მთელ მშენებლობებს აქამდე ჩვენი მხოლოდ მობიარებს ვუწავნიდით, ამერიიდან კი მხ ავტომობილებს ვაფუძნებდით, — სხარტობისა და სიამაყის გრწინობი ამპოტე ქუთაისის ავტოკარბის მუშებმა.

სულ უფრო და უფრო სწრაფად მიდის ქუთაისიდან ავტომობილების დიდი პარტულები დაფუძნებულ მატარებლის მუშებში. მობიარის საპარტულები ვაფუძნებულ ქარტულ წარმოებას ახიბი ავტომობილო მუშობის უზრუნველყოფის ნიუის საჩუქრებსა და პაბის პლანტირებზე, მუშობის სიძველეს და სანარკველიში. მთავალია, ამ წლის დასწყისში ქაბანამ დეკემბრის 100 ს. ხარეკი მანქანა ვაღაცა ჩვენი რესპუბლიკის კოლხეთში მთავრობისთვის მიას. იოდე.




აი, თავი შევადგინე მატარებლის მორეკ მუშებში, რომელსაც პლანტირებზე ქუთაისის ავტომობილებს ახალი პარტა დგას. ისინი ვაწარტულები არიან ჩვენი მთავრობის მთავრობის დეპარტამენტი, მათში ვაგახვანად მატარებლის სახეების სხვა—და მუშებშიც ვაღარაგებ, უნდ მობიარებს ქაბანის, ქუთაისის, ჩიონის სწრაფ ვაღარაგებ. ვაგარტუბი ყოილ მუშებშიას!

↓ მუშენი ქუთაისის ავტომობილებში

ქუთაისის ავტომობილი

ქუთაისის ავტოკარბის მთავარ კონვეიერის საპრობანდო გამოკვლეულ მუშობის, ჩვენი თვითმცოდნე ახალი მანქანა. მარჯვნივ ვაღარაგებ მხოლოდ მის ჩინებას. შენობა იგი სულ უფროსწრაფად მიდის კონვეიერს და მანქანის წინაშე ვაღარაგებ მთავარი კონვეიერის მუშობისა. მის შენობისა სადგამის სენი ვაღარაგებ და მისი ლიონის ნაწილები თვითმცოდნეა ილავი.

როგორც მისი ნაწილები უფროსწრაფად მიდის მთავარი კონვეიერის საპრობანდო გამოკვლეულ მუშობის მთავარი კონვეიერის საპრობანდო გამოკვლეულ მუშობისა და მის ნაწილებს, მანქანის ოთხი ათასზე მეტი ვაღარაგებ, ქაბანის უწყვეტად ითი ათასზე მეტი ვაღარაგებ ავტომობილი.



თავი ისახელებს ინტერნის გ. ქუთაისის კონსტრუქტორს ნ. კვიციანიძეს და უწავნიდა მს. სკვინის. მათ მთავრობის ტექნიკური ცვლელის მუშებთან დასარტულებული მთელი კონსტრუქციები. დაჯგუფა სანიმუში იქნა შესრულებული.

და აი, ერთ მშენებელს, ქუთაისიდან დაიწყო ტუმბოების დატვირთული ექვლინი. მატარებლის ამუშებში ვაწარტა: აქ ქუთაისის მანქანა მუშებთან ქაბანის—კოპანის მთელი მუშებთან, ეს იყო ახალი მუშობის მთავარი კონვეიერის მუშებთან და მათთვის ვაღარაგებ მთავარი კონვეიერის მუშებთან და მათთვის ვაღარაგებ მთავარი კონვეიერის მუშებთან.

8. მთისა მუშენი

ფოტოში — სენი: ავტომობილი წავლენების მუშობის. მარჯვნივ: ავტომობილი წავლენების მუშობის მუშებმა. ქვემოთ: ავტომობილი წავლენების მუშობის მუშებმა.



ვოლგა-დონი

დოქ. ბ. ზარდალიძე

ორი დიდი მდინარის — ვოლგისა და დონის შეერთებაზე საუკუნეებით ოცნებობდნენ ადამიანები. ბეტრე პირველმა დაიწყო ვოლგა-დონის არხის გათხრა. არხი თითქმის სანახევროდ იქნა გათხრილი, მაგრამ შედეგებთან ომმა სამუშაო შეაჩერა.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ვოლგა-დონის არხის გათხრის ოცდაათამდე სხვადასხვა პროექტი იქნა შემუშავებული.

ჯერ კიდევ ცარიცინის გმირული დაცვის დროს, ამხანაგი სტალინი სწერდა ლენინს ვოლგა-დონის არხის უდიდეს ეკონომიურ მნიშვნელობაზე. ამავე პერიოდში, დიდი სტალინის ინიციატივით, მომავალ არხის ტრასზე დაიწყო პირველი საკვლევო სამუშაოები.


1918 წლის 14 მაისს, სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე, ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით განხილულ იქნა ვოლგა-დონის არხის გათხრის საკითხი. ლენინის წინადადებით შეიქმნა ვოლგა-დონის არხის მშენებლობის სამმართველო, მაგრამ სამოქალაქო ომმა ხელი შეუშალა შემდგომი სამუშაოების წარმოებს.

1950 წლის დეკემბერში დიდი სტალინის მითითებით დაიწყო ვოლგა-დონის სანაოსნო არხის შექმნა, რომელიც ხუთი ზღვის შემაერთებელი არხის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს „დიდი ვოლგის“ არხის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მშენებლობაა, რომლითაც შეიქმნება ერთი მთლიანი სამდინარო საგზაო სისტემა ბალტიის, თეთრი, კასპიის, აზოვისა და შავ ზღვებს შორის, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ყველა ზღვა ერთ სანაოსნო-სატრანსპორტო სისტემად შეერთდება.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის სიგრძეა 101 კილომეტრი — 56 კილომეტრი ხელოვნური ნაგებობით. არხი იწყება ქ. სტალინგრადის სამხრეთით (მდ. ვოლგაზე) და მიემართება ქ. კალაჩისკენ (მდ. დონამდე). სულ არხზე იქნება 3 კაშხალი და 13 რაბი. მათგან უკვე დამთავრებულია სამი რაბი ვოლგის ნაპირებთან კრასნოარმეისკოეს რაიონში და ხუთი რაბი დაბა ჩაბურინკაში. დანარჩენი ხუთი რაბისა და სატუმბავი სადგურების მშენებლობა ახლო ხანში დამთავრდება.

ვოლგა-დონის მშენებლობის პირველი კარბოესკის სატუმბავი სადგური. მისი მშენებლობა უკვე დამთავრდა. ა/წ 1 თებერვალს დაიწყო კარბოესკის წყალსაცავისკენ დონის წყლის გადატუმბვა. ამრიგად, დონის წყალი ვოლგის მიმართულებით წავა. კარბოესკის წყალსაცავის გასვლის შემდეგ, აქედან წყალი გადაიტუმბება ბერესლავის წყალსაცავში.

სამი სატუმბავი სადგურისა და 13 რაბის მშენებლობა იმით მთავრდება, რომ მდ. ვოლგის დონეზე 4მ მეტრით მაღალია მდინარე დონის დონეზე (არხის ფარგლებში).



ვოლგა-დონის კომპლექსის მთავარი ნაგებობაა ციმლიანსკაის ჰიდროელექტროსადგამი და წყალსაცავი. ქ. ციმლიანსკაისთან, მდინარე დონის ქვემო დინებაზე, აშენდა 13,3 კილომეტრი სიგრძის კაშხალი, რომელმაც უკვე გზა გადაუღობა დონს აზოვის ზღვისაკენ. გასული წლის სექტემბერში საბჭოთა ადამიანებმა უკვე დაიმორჩილეს დონი, დაიწყო მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი წყალსაცავის — ციმლიანსკაის წყალსაცავის აგება. სიგრძე ამ წყალსაცავისა, რომელსაც „დონის ზღვასაც“ უწოდებენ, 180, ხოლო სიგანე 30 კილომეტრს მიაღწევს, მოცულობა კი საპროექტო დონის აგებისას 24 მილიარდი კუბური მეტრი იქნება. ციმლიანსკაის კაშხალი წყლის დონეს 26 მეტრით ასწევს.

აქვე შენდება ციმლიანსკაის ჰიდროელექტროსადგური 160 ათასი კილოვატი სიმძლავრით, რომლის პირველი და მეორე აგრეგატი ა/წ აპრილში ამუშავდება. მესამე კი — მაისში.

„დონის ზღვიდან“ წყალს მიიღებს 190 კილომეტრი სიგრძის დონის მაგისტრალური არხი, რომელიც წყალს მიაწვდის ქვემო დონის, ბაკაევსკის, სადგურისა და ზემო-სალსკის სარწყავ არხებს. ამ არხებით მოირწყება ორი მილიონი ჰექტარი მიწა როსტოვისა და სტალინგრადის ოლქებში. უკვე დამთავრდა დონის მაგისტრალური არხის პირველი რიგის მშენებლობა, რომლითაც წყალი ციმლიანსკაის წყალსაცავიდან განმანაწილებელ არხებში წავა. დასასრულს უახლოვდება ქვემო დონისა და აზოვის განმანაწილებელი არხების მშენებლობა.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაც დასასრულს უახლოვდება. ვოლგის მხრიდან, არხში შესასვლელად, მაღალ ნაპირზე იდგმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის 22 მეტრის სიმაღლის მონუმენტი, რომელიც გაკეთებულია ნაჭედი სილიქისაგან. დიდი მუშაობა ტარდება გამწვანების დარგშიც. არხის ორივე მხარეს დაამშვენებს ტყის სამი ზოლი.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხი და სარწყავი არხები დიდ როლს შეასრულებენ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ბუნების დიდი გარდაქმნის საქმეში. ამ არხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ქ. სტალინგრადისა და ქ. დონის-როსტოვისათვის. გმირი ქალაქი უშუალოდ დაუკავშირდება აზოვის ზღვასა და შავ ზღვას, ხოლო დონის-როსტოვი ვოლგის ნავსადგურად გადაიქცევა. როსტოვისაკენ წამოვა ვოლგისა და კამის ხე-ტყე. დონისა და ქვანახშირი და სხვ.

ტვირთბუნებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ექნება სამგზავრო გემების მიმოსვლასაც. ა/წ 4 თებერვალს სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის მინისტრის ბრძანებით უკვე დამტკიცებულია სამგზავრო გემების მიმოსვლის განრიგება ვოლგა-დონის არხზე. 3.200 კილომეტრი სიგრძის სატრანზიტო ხაზზე — მოსკოვი — დონის-როსტოვი სამ დღეში ერთხელ ივლიან სამგზავრო გემები.

ასეთ სარეკორდო დროში მსგავსი გრანდიოზული მშენებლობის დამთავრება საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ-ტექნიკური სიმძლავრის მაჩვენებელია. საქმარისა ალინინის, რომ ვოლგა-დონის არხზე გაცემული მოკლე 81 კილომეტრი სიგრძის პანამის არხს ამერიკელები 35 წელიწადს აშენებდნენ, ხოლო 166 კილომეტრი სიგრძის სუეცის არხს კი 22 წლის განმავლობაში.

ვოლგა-დონის არხის დამთავრებით ძირითადად გადაწყვეტილი იქნა „დიდი ვოლგის“ პრობლემა. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ხუთი ზღვის ნავსადგურად გადაიქცევა, ამიტომაც უწოდებენ ვოლგა-დონის არხს „ხუთი ზღვის შემაერთებელ არხს“.

სულ მალე მწყობრში ჩადგება კომუნისტების ერთ-ერთი გრანდიოზული ნაგებობა — ვოლგა-დონის არხი. ასეთი დიდი ნაგებობის მშენებლობის მოკლე ვადაში განხორციელება საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მკაფიო დადასტურება და კომუნისტების დიდი მშენებლობის გმირული მატაიანის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბრაქტორისტი ქალი

მისილ ღაპითაჟილი



კალენდრის მიხედვით ზამთარია, ალაზნის ველზე კი გაზაფხულისებური თბილი დღეები დადგა. გამდნარი თოვლი, ხეებზე გამოსული კვირტები, ტრაქტორების შეუწყვეტელი გუგუნე სასიხარულო დროის მოახლოებას მოასწავებენ.

.. ნაზარალებზე ტრაქტორი გუგუნებდა. მისი ბოლქვა-ბოლქვად გამოვარდნილი მოლურჯო ბოლი იქვე გუთანთან, რკინის სახნისის მიერ გავლებულ ღრმა ხნულეებზე იფანტებოდა. ტრაქტორზე ხანშიშესული, ორმოცდაათიოდე წლის ენერგიული გამომეტყველების ქალი იჯდა.

მიუხალოვდით თუ არა, ქალი მოგვესალმა.

— გამარჯობა! — უთხრა მას ჩვენი თანამგზავრმა, ტიბანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში ლავრენტის ნებუღიშიღმა. — ასეთი ამინდი თუ გაგრძელდა, მგონი ორ დღეშიც დაამთავროთ აქ მუშაობა.

— მე კი ვფიქრობ ხვანს ხვალ მოვრჩე და მაშინვე თესვაზე გადავიდე. — უპასუხა ტრაქტორზე მჯდომმა.

* * *

აქაური მცხოვრებლები წინათ ბევრჯერ ცდილან ეს ადგილი დაემუშავებინათ, ზედ პური დაეთესათ, მაგრამ შრომა უშედეგო იკარგებოდა, — ზევანზე არაფერი ხარობდა, საძოვრადაც კი არ იყარა ამ ადგილმა. ზოდა, საზარალო მიწას „ნაზარალები“ უწოდეს. მაგრამ ახლა მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკის გამოყენებით, იმ სასუქებით, რომლითაც ჩვენი ქვეყანა კოლმეურნეობებს უხვად ამარაგებს, აბა, რომელი უნაყოფო მიწა არ გაიცოცხლებდა!

პარტიულ კრებაზე ახალი სათვის ფართობების ათვისების საკითხს იხილავდნენ. ელენე ნატროშვილმა ზეგემით ვალდებულებად აიღო ეს ახლად ასათვისებელი 50 ჰექტარიანი ადგილი დაეხანა. მან კარგად იცოდა, რომ ალაზნის ველზე თებერვალში ხშირად არის ხოლმე ისეთი ამინდები, როდესაც მინდვრად გასვლა დაუბრკოლებლად შეიძლება. გარდა ამისა, ადრე გაზაფხულზე გატეხილი ყამირი ხომ განსაკუთრებით სარგებლიანია. ამიტომ ტრაქტორისტი ქალი მუშაობისათვის უკვე თებერვალში იყო მზად.

საქართველოში ცნობილია ტიბანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ტრაქტორისტის ელენე ნატროშვილის სახელი. როცა საკითხი ახალი მიწების ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის საქმეს ეხება, ტრაქტორისტი ქალს ერთხარის პატივისცემით ასხენებენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სამინისტროს კოლეგიისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიებზე.

როდესაც აქაური კოლმეურნეები საბჭოთა ხელისუფლების დროს აყვავებული ალაზნის ველის შესახებ ლაპარაკობენ, არ შეიძლება ამჟამად არ იკითხონ.

— როგორ მოგწონთ ჩვენი ელენეს მიღწევები?

ელენე ნატროშვილი მეთორმეტე წელია, რაც ტრაქტორისტიად მუშაობს და ნორმას ყოველგვარ

პირობებში აჭარბებს. რა სახის სამუშაო უნდა იყოს, რომ ელენე სხვა მოწინავე ტრაქტორისტებს ჩამორჩეს? ხვანა თუ ფარცხვა, კულტივაცია თუ აოშვა, თესვა თუ მოსავლის აღება, ხნიერი ქალი თავდადებით შრომობს და ხშირად ბევრ ახალგაზრდასაც წინ უსწრებს.

გასულ წელს ელენე ნატროშვილმა გემის გადაჭარბებით ასეული ჰექტარი მიწა მოხნა და სამი წლის ნორმა გადაჭარბებით შეასრულა. თავისი ტრაქტორი ოცდახუთი დღის მაგივრად ათ დღეში შეაკეთა. საქმე რომ დაამთავრა, ელენე შემდეგ სხვას მოეხმარა ტრაქტორის მომზადებაში.

მაგრამ ტრაქტორისტი ქალი მარტო თავისი სამუშაოთი როდი კმაყოფილდება. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დებუტატი ელენე ნატროშვილი ზრუნავს თავის ანომრჩეველებზე. მან მიადწია იმას, რომ მშობლიურ ტიბანში წყალი გაეყვანათ, კეთილმოწყობილი გზები ჰქონოდათ, სიღნაღის რაიონ-საბჭოს აღმასკომის დახმარებით კი სოფელში ქვესადგურიც ააგეს. ახლა ყველა ტიბანელ კოლმეურნის ბინაში ილიჩის ნათურები ციმციმებენ.

საიდან აქვს ამ ქალს ამდენი ენერჯია, რაშია მისი წარმატებათა საიდუმლოება?

ელენე ნატროშვილს, უპირველეს ყოვლისა ძლიერ უყვარს თავისი საქმე. ის შინ არ წავა, სანამ დავალებას არ შეასრულებს, მერე თავის ტრაქტორს გასწმენდს, შემდეგი დღისათვის მოამზადებს. იგი პატრიოტია თავისი საქმის, თავისი სამშობლოსი.

როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ელენე ოცი წლისა იყო. როგორც ყველა აქაურმა გლეხმა, წერა-კითხვა არც მან იცოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ელენეს ახალი ძალა შემატა. ახალგაზრდა ქალმა ცხოვრებას ახლებურად შეხედა და სოციალიზმის მშენებელთა ფერხტში ჩაება, მალე იგი სასოფლო საბჭოს დებუტატად აირჩიეს, იგი მშობლიურ სოფელ ტიბანში კოლექტივის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი გახდა. შემდეგ რკოლის ხელმძღვანელობა, უხვი მოსავლისათვის ბრძოლა, მრავალი შრომითი გამარჯვება...

მაგრამ დაიწყო სამამულო ომი. მამაკაცები სამშობლოს დასაცავად წავიდნენ. მრავალი ტრაქტორისტი საბრძოლო მანქანაზე გადავიდა. ელენემ ფრონტზე ორი ვაჭი გააცილა. სოფლად დარჩენილმა მოხსუცებმა, ელენე და ახალგაზრდებმა გადასწყვიტეს განსაცდელში მყოფ სამშობლოს მოსავლის გადიდებით დახმარებოდნენ. ორმოცი წლის ელენე სწორედ მაშინ შევიდა მექანიზატორთა სკოლაში და მალე ტრაქტორიც ჩაიბარა.

— მაგალითი ელენესაგან აიღეთ — ერთმანეთს ურჩევდნენ თანასოფლელებიცა და სხვა რაიონის კოლმეურნეებიც. ნატროშვილის ქალის შრომითი გმირობის ამბავი მთელ ალაზნის ველს მოეფინა. მალე მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ.

ათას ცხრაას ორმოცდახუთე წელში ელენე ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიიღეს. „უფრო მეტი ძალა რომ მექნეს, გადავწყვიტე ლენინ-სტალინის პარტიაში შევიდე“ — წერდა ტრაქტორისტი ქალი თავის განცხადებაში. იგი მართალი იყო. მას მეტი ძალა სჭირდებოდა, რომ წინანდელზე უკეთ ემუშავა, ადვილად გადაეტანა ის პირადი უბედურება, რაც უფროსი შვილის, არჩილის ფრონტზე დაღუპვამ განაცდევინა.

შრომითი მიღწევები ყოველწლიურად იზრდებოდა. საბჭოთა მთავრობამ იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვა, ხალხმა კი ნდობა გამოუცხადა, — 1947 წელს საქართველოს უმაღლეს საბჭოს დებუტატად აირჩია იმ დღეებში, როცა ელენე ნატროშვილი მეორედ წამოაყენეს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დებუტატობის კანდიდატად, მას ახალი მანქანა — დიზელიანი ტრაქტორი გადასცეს. ამ მძღავრი მანქანით

შალვა შაველაშვილი კაკ დაე აის სიფყვა მშვიდობის კონგრესზე

კორეელ ბავშვის უმანკო გული თვითმფრინავების ცეცხლმა დაწვდა და დაიღუპა. ისმენდა სიტყვას პაკ დენ აისას. — მოგვაქვს დროები მძაფრი შრიალით მოგვაქვს გულისთქმა, როგორც ღადარი გულისთქმა წრფელი, კეწნაინი კორეელ ხალხის ნაღაღადარი.. ჩვენს მშვიდ თვალეში ცრემლები დაშრა და შურისგება გვანთებს მისხანე, — მტერს ებრძვის ჩვენი მკლავი და დაშრა ყოველ წუთსა და ყოველ სისხამზე. დილის ნიავის ქვეყნის შვილები სალამს ვითვლიან ხალხთა მეგობრებს, ისინი მახვილ ამოწვდილები ებრძვიან ტრუმენს — მკვლელს და მეკობრეს. — განვდევნოთ მტერი! — გაისმის რისხვად ამოხახილი მართალ გულები, — ნორჩი მებრძოლიც იარაღს ისხამს სამშობლოს ტრფობით და ერთგულებით. და ამ გრიგალის გულში უშიშრად მიფეხვებით დროშას, მადლა აფრენილს, ის — კიმ ირ სენის ხელეხს უჭირავს, ვით ზღვის ხომალდზე ანძებს აფრები.

ელსაგური მთებში ჯანსუღ ჩარკინი

სვანეთის მთიდან სიცოცხლე მოდის, ის კომუნისმის მხესთან საუბრობს. მიესალმება პატარა ოდებს, და გლეხიკაცებს ჭრაქებს გაუქრობს.

ჩამოუქროლებს სოფელს ორბივით, და ჩაუხტება ჭალის წისქვილებს. ტაღლა ტაღლასთან ხმაშეწყობილი ჩემს მამულს მაყრულს გადაუკვივებს.

გაივლის შრომით გათხრილ გვირაბებს, დასწყველის ძველი ჭრაქის გაჩენას. შეიადმარათებს, — ქშენით გვიამბობს, როგორ მოთოკა ხალხის მარჯვენამ.

და ტანს მდინარე ტლანქად გაათრევს, ბარაქად შევა გლეხის ბინაში. ორპირ კლდეებში მოიკალათებს, ვერცხლისფერ ჩანჩქერს კლდეებს მიაფშვინს.

წამოვა, ტალღებს მოაჯირითებს, შეგხედები ლურჯი იასამნებით, ახალი ჰესის მოაჯირიდან კრემლში დიდ ბელადს მივესალმები.

ელენემ მალე ახალი გამარჯვება მოიპოვა. სახელოვან ქალს თავისი ამომრჩეველები გულწრფელად ულოცავდნენ მიღწევას. ელენემ პირობა მისცა ამომრჩეველებს, რომ იგი არაფერს დაიშურებდა შესანიშნავი ქართული ხორბლის — დოლის პურის მოსავლის კიდევ უფრო გადიდებისათვის.

— წინ რა დამიდგება, როცა ვიცი, რომ ჩემი შრომის ნაყოფი საბჭოთა ხალხსა და დიად სამშობლოს ძლიერებას ხმარდება, — ამბობს ხოლმე ელენე ნატროშვილი.

თბილისში ჩვენი დაბრუნების შემდეგ სამი დღე გავიდა. ტიბანში დავრეკეთ. ნებულიშიღმა სიხარულით გვაცნობა — ელენე ნატროშვილმა თავისი დაპირება შეასრულა და რაიონში თესვა პირველმა მან დაიწყო, თანაც დაუმატა: დღეში 15 ჰექტარის ნაცვლად 20-25 ჰექტარს სთესავს.



თავს ევლებს მანქანებს თამარი, თვალყურს ადევნებს მათი დეტალების ყოველ მოძრაობას, ამოწმებს დაქსელილ ძაფებს...

თამარი ყოველდღიურად ზრუნავს თავისი თეორიული ცოდნის ამოღებაზე. სისტემატურად ამზადებს კონსპექტებს მოსმენილი ლექციების მიხედვით.



ნოვაციონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალი

ფოტო ვლ. გინზბურგისა

პედაგოგიური ტექნიკუმის მოსწავლემ თამარ კობალეიშვილმა 1930 წელს პირველად შეაღო თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კარები. იგი მაშინ 15 წლის გოგონა იყო.

მაქოების ხმაურში იგრძნობოდა ფაბრიკის კოლექტივის ერთსულოვანი შრომითი ერთუზიანობა. ათასჯერ ნახული აბრეშუმის პარკიდან ამოსხმული ძაფებისაგან ნაირნაირ ქსოვილებს აკეთებდა ადამიანის ხელი. გაიტაცა ამ სანახაობამ თამარი. მოეწონა აბრეშუმის მქსოველის პროფესია და გადასწყვიტა დარჩენილიყო ფაბრიკაში.

საქმის სიყვარულით გატაცებულმა ორ კვირაში შეისწავლა დაზღვის მართვა.

მაშინ ფაბრიკაში მუშები თითო დაზღაზე მუშაობდნენ. თამარ კობალეიშვილი ისე დაეუფლა თავის პროფესიას, რომ ორი თვის შემდეგ ორ დაზღაზე დაიწყო მუშაობა. სულ მოკლე ხანში იგი ოთხ დაზღაზე გადავიდა და გადაჭარბებით ასრულებდა გეგმას.

მასარ შეუწელებია წინსვლა, იგი ყოველთვის მოწინავე იყო. მისი

სახელი ცნობილია საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობაში.

ქალთა 44-ე სკოლაში სწავლობენ თამარის ქალიშვილები ნელი და ნუნუ. უფროსი მეთერთმეტე კლასშია, უმცროსი კი მერვეში. ორივე ხუთოსანია. ოჯახშიაც ეხმარებიან დედას. ბავშვებს მამა არ ახსოვთ და კარგად იციან, რომ თამარმა მამობაც გაუწია მათ. მათი მამა ივანე კობალეიშვილი ამავე ფაბრიკაში მუშაობდა. თამარმა და ივანემ აქ გაიცნეს ერთმანეთი. აქ დამეგობრდნენ. ივანე ომის პირველ დღესვე წავიდა ფრონტზე და სამამულო ომში დაიღუპა.

თამარი ამ უბედურებამ ვერ გასტეხა. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ბავშვებს არ ეგრძნოთ უმამობა. შვილებმაც დაუფასეს ამაგი დედას: ორივე ბავშვი ჩინებულად სწავლობს, ორივენი ჩვენი ქვეყნის კარგ მოქალაქეებად იზრდებიან.

1951 წლის გეგმა თამარმა 126,5%-ით შეასრულა. მის მიერ

დედამაც დაასრულა თავისი დღიური საქმიანობა და ქალიშვილებმაც მოამზადეს გაკვეთილები. ახლა სხედან და საუბრობენ განვლილი დღის განმავლობაში ნახულისა და გაგონილი ამბების შესახებ.



გორადი უაიქრები



კვირა დღეს ინახულეს „დათვების ცირკი“. დედა და ქალიშვილები კმაყოფილი ბრუნდებან შინისაკენ.

გამოშვებული პროდუქციის 88,2% პირველი ხარისხისაა. ამ მხრივ იგი მთელს საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობაში ერთ-ერთი პირველთაგანია.

გეგმის გადაჭარბებით შესრულება და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ბევრად აუმჯობესებს მის მატერიალურ მდგომარეობას.

მას საშუალება აქვს ბავშვებსაც კარგად მოუაროს, თავის თავსაც მიხედოს, ოჯახიც მოაწყოს კულტურულად.

მის მზიან, კოხტა ბინას გამრჯე დიასახლისის ხელი ეტყობა.

თეატრს, კინოს, ახალ წიგნს ფართო ადგილი უჭირავს კობალეიშვილების ყოველდღიურ ცხოვრებაში. თამარი ყოველთვის ნახულობს დროს დაეწროს ახალ წარმოდგენას, შეამოწმოს რას კითხულობენ მისი გოგონები და თვითონაც წაიკითხოს თვალსაჩინო მხატვრული ნაწარმოებები.

აბრეშუმის ქსოვის სახელოვანი ოსტატი მარტო საწარმოო მიღწევებით არ კმაყოფილდება. იგი სისტემატურად ზრუნავს თავისი თეორიული ცოდნის ამადლებზე. მან კარგად იცის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შესწავლა საგრძნობლად გააფართოვებს მის ჰორიზონტს.

თამარ კობალეიშვილი ამჟამად ორწლიან უმაღლეს პარტიულ კურსებზე სწავლობს. იგი აქაც წარჩინებულია. ფაბრიკაშიაც იყენებს თავის ცოდნას. როგორც აქტიური კომუნისტი იგი არჩეულია საამქროს პარტიუროს წევრად.

იქ, სადაც ლიხვი მტკვარს ერთვის, სამშენებლო მოედანზე შეგროვილიყვნენ მხვეულ-მთესველები, მებაღეები, მევენახეები, მწყემსები. ზოგ მათგანს აქვე ანაწილებდნენ—კალატონების, დურგლების, მღებავების, მებათქაშეთა და მეთუნუქეთა კურსებზე. ზოგს კი, უმთავრესად ქალიშვილებს, გზავნიდნენ ტაშკენტში, ბარნაულში, კიროვობადასა და ივანოვოში; ისინიც სასწავლებლად მიდიოდნენ, მხოლოდ შედარებით უფრო ხანგრძლივი ვადით, რათა გორს დაბრუნებოდნენ მაღალხარისხიანი წმინდა ქსოვილის ოსტატებად.

გორელები ჯერ ადგილზე ჩასულები არ იყვნენ, რომ მომავალი კომბინატის დირექტორმა გიორგი მამუჩაიშვილმა (თვითონაც გლეხის შვილმა, რომელმაც თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი დაამთავრა) წერილები მიიღო რუსებისაგან, უზბეკებისაგან, აზერბაიჯანელებისაგან. ამ წერილების შინაარსი ერთიდაიგივეა: მინდა ვიმუშაო სტალინის სამშობლოში, მინდა დაგეხმაროთ ჩემი გამოცდილებით, გადმოგცეთ ჩემი ოსტატობა.

აქაც, როგორც რუსთავის მეტალურგიულ ქარხნის მაგალითზე, როგორც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მაგალითზე, ნათლად ჩანს ხალხთა სტალინური მეგობრობის უდიდესი შემოქმედებითი ძალა.

გორის კომბინატისათვის ბაზა მოჰყავთ აზერბაიჯანელ კოლმეურნეებს, ვარღისფერი ტუფი, რომლითაც სამრეწველო და საცხოვრებელ შენობებს აგებენ, სომხეთიდან მოაქვთ, სართავ ვატერებს, საქსოვ დაზგებსა და სხვა მანქანებს მოსკოვის მახლობლად ბოდოლსკში, ლენინგრადში, პენზაში, ივანოვოში, ტაშკენტსა და ლატვიაში ამზადებენ. გორიდან კი მთელ ჩვენს ქვეყანაში იგზავნება ჩინებული ქსოვილები—მარკიზეტი, ბატისტი, ზეფირი, სატინი, თეთრეული.

მშენებლები ჯერ კიდევ სამღებრო საამქროს საძირკველს თხრიან, გორის სადღურში კი დგას ნართით, ნარმით და მიტკლით დატვირთული ვაგონები, შუა აზიისა და ალტაის ბამბეულის ქსოვილის კომბინატებში გასაზავანად.

ეს გორელი ფეიქრების პირველი წვლილია საერთო საქმეში.

თავისი სიდიდითა და საწარმოო სიმძლავრით გორის კომბინატი ერთ-ერთი პირველთაგანია იქნება საბჭოთა კავშირში.

პირველად განსაზღვრული იყო წელიწადში გამოეშვათ 17,5 მილიონი მეტრი ქსოვილი, მაგრამ გორელმა მშენებლებმა და მემონტაჟებებმა გეგმებს ბევრად გადააჭარბეს.

მთავრობამ გააძლიერა საპროექტო სიმძლავრე ჯერ ერთნახევარჯერ, შემდეგ—ერთითორად. სართავ-საქსოვი კორპუსი, რომელიც 1951 წელს აშენდა, უკვე ძველად ითვლება—იგი გაჭიმულია მეოთხედ კილომეტრზე, ახალი კორპუსის სიგრძე კი ექვსას მეტრზე მეტია.

გორი მამუჩაიშვილი მოკლედ გვიამბობს:

გორის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს მოწინავე კომკავშირელი სტახანოველი მერი მაზიაშვილი და ნინა კონანოვა, რომლებიც დღიურ დავალებას 140%-ით ასრულებენ.

ფოტო მ. ვახტანგაძისა



„აპრილიდან“ ავამუშავებთ სართავი თითისტარები, აგვისტოში პირველი საქსოვი დაზგები. გრაფიკს წინ ვუსწრებთ.“

სანამ ბამბა წმინდა დაფად გადაიქცევა და თითისტარზე დაიხვევა, ის უნდა მოხვედეს დამახარისხებელ საჩერ საამქროში, უნდა გაიაროს ლენტისა და საგრები მანქანები. თვითუღს საქსოვ დაზგასთან დგას სახვევი, მქსელავი და სხვა დაზგები, სადაც ძაფი იფარება სახამებლის სახნისა და წებოვანი ნივთიერების განსაკუთრებული ხსნარით.

დირექტორს მოჰყავს ციფრები: საექსპლოატაციოდ გ დეცა 24 ათასი თითისტარი, 12 ათასი თითისტარი ახლა მონტაჟდება; 400 საქსოვ დაზგას დეკემბერში დაემატება კიდევ 250.

მთავარი სართავ-საქსოვი საამქროს გვერდით აშენდა მექანიკური სახელოსნოები. ეს „დამხმარე“ საწარმო თავისი სიდიდით და მოწყობილობით ზოგიერთ ქარხანას აღემატება. აქ წარმოებს ჩამოსხმა, ჰქედვა და მექანიკური დამუშავება. დიდი სისწრაფით მუშაობენ უახლესი სახარატო, საღარავი, სარანდავი, ვერტიკალური სახვერჭი დაზგები. ყველაფერი ეს კი მხოლოდ დასაწყისია. ჯერ კიდევ მხარდამხარ მუშაობენ მშენებლები, მემონტაჟეები, მქსოველები. ჯერ კიდევ გრძელდება სწავლა ტაშკენტში, ივანოვოში, ბარნაულში. ჯერ კიდევ ისმენენ ლექციებს მოსკოვისა და ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტებში მომავალი გორელი ინჟინრები.

თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ უკვე დამზადებულია ასობით ტონა ნართი, ათეულ ათასობით მეტრი ქსოვილი.

ხილისთაველი კოლმეურნის ქალიშვილი ეკატერინე ტლაშაძე ორ ნორმას ასრულებს სართავ თითისტარებზე, გორის მკვიდრი მარგო ელისაბედაშვილი კი 12 საქსოვ დაზგას ემსახურება და დღეში სამი დღის სამუშაოს ასრულებს.

ტაშკენტიდან მასწავლებლები თხოვენ თავიანთ აღზრდილს, ოსტატის თანაშემწეს, სამამულო ომის მონაწილეს კარლო ბესტაგაშვილს გაუზიაროს ტაშკენტელებს სტახანოვერი მუშაობის გამოცდილება.


გორელი ჭაბუკი ინჟინერი ვახტანგ ხინჩიკაშვილი სართავი საამქროს უფროსი გახდა.

ხილისთაველი ახალგაზრდა ინჟინერი ზაქარია ონიაშვილი მოსამზადებელი საამქროს უფროსია.

უკვე ინჟინრები, საამქროთა და განყოფილებათა უფროსები გახდნენ გორელი მუშებისა და კოლმეურნეების შვილები გიორგი კობინაშვილი, მინხიელ ლაცაბიძე, გიორგი სამადალაშვილი.

უკვე შექმნა მქსოველთა მთელი ოჯახები. სართავ საამქროში ბრიგადირად მუშაობს კომუნისტი თამარ ჯახველაძე, მისი ვაჟიშვილი კომკავშირელი რეზო ოსტატის თანაშემწეა, ქალიშვილი ნათელა კი—დაზგების გამწყობი.

გორელების მიერ დამზადებული ნართსა და ქსოვილს მოკლე მაგრამ მაკაფიო წარწერა აქვს „დამზადებულია გორში“.



ნ ო ვ ე ლ ა

ალექსი კოლგორასკი

მხატვარი ალ. ბანძელაძე

თუ თქვენ არ ყოფილხართ კოლხეთის კოლმეურნეობებში, მაშინ, რასაკვირველია, არ გეტყვინებთ თუ რა არის ქართველების სტუმართმოყვარეობა. მე შემძლია მხოლოდ ოდნავი წარმოდგენა მოგცეთ ამ ადამიანების გულთადაობასა და ალერსიანობაზე.

ვთქვით, თქვენ გუსურთ მიაგნოთ სოციალისტური შრომის გმირის დარეჯან გორგილაძის კარ-მიდამოს. თქვენ მიადგებით პირველ სახლსვე. აივანზე გადმომდგარი სახლის პატრონი ყურადღებით მოგისმენთ და გკითხავთ:

— საიდან მოსულხართ, ძმობილო?

გაიგებს თუ არა, რომ თქვენ უკრაინიდან ხართ, ერთბაშად შეეცემა შეწუხება: დარეჯანის ბინამდე გრძელი და ძნელი გზა არის გასავლელი. განა ასე ადვილია ამ გზის ჩვენება! ამიტომ უკეთესი იქნებოდა, ძვირფასი სტუმარი სულ ცოტა ხნით, თუნდაც ერთი წუთით, აივანზე ამოსულიყო, — მობრძანდით, ვიცნობდე ერთმანეთს, — შალვა ფირცხალაიშვილი გახლავართ, — ახლა თამამად შეიძლება დაწვრილებით აგინხნათ გზა.

იმავე დროს მასპინძელი რაღაცას ანიშნებს შინაურებს, და ახლა კი უკვე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გზას საღამომდე ვეღარ განაგრძობთ. საღამოს ახალშექმნილი მეგობრები დიდის ამბით გაგაცილებენ, მაგრამ განა შორს? სულ ათიოდე ნაბიჯზე, რადგან დარეჯანი... მეზობელ სახლში ცხოვრობს.

... აი ასე, ერთხელ, გვიან საღამოთი, როგორც იქნა მივადწვიე სოციალისტური შრომის გმირის დარეჯან გორგილაძის სახლს. ვიდრე სახლში შევიდოდით, დიასახლისმა დამანახა 19 წლის ქალიშვილი, რომელიც აივანზე იდგა. გოგონას მხარზე სუფთა პირსახოცი ჰქონდა გადადებული და ხელში კოხტა პატარა ღოჭი ეჭირა...

— ეს ჩემი ქალიშვილი გახლავთ, — თქვა დიასახლისმა. — ვალია, ხელი დააბანინე სტუმარს.

მე შევხედე ქალიშვილის ქერა თმას, ჭორფლიან პაჭუა ცხვირს, მხიარულ, ოდნავ დამცინავ თვალებს, პირმრგვალ სახეს.

— ვალია, შენ რომელი ოლქიდან ხარ, — გკითხე უკრაინულად.

— პოლტავის, — უკრაინულადვე მიპასუხა ვალიამ, და ცოტა წამოწითლდა. — თქვენ რომლიდან ბრძანდებით?

... 1942 წლის შემოდგომის ერთ დღეს დიდმა დახურულმა ავტობუსმა, ასძალიანი მოტორის გუგუნით დაარღვია სოფლის მყუდროება. იგი დამტვრეული ძარის ზანზარითა და საყვირის საგანგაშო ზმუილით მოჰქროდა. უკან მოსდევდნენ მანქანის მოულოდნელი გამოჩენით აფორიაქებული სოფლის დედაკაცები. ავტობუსი სოფლსაბჭოსთან გაჩერდა. კოლმეურნე ქალების სახეებზე შიში გამოკრთოდა, ერთიმეორესთვის ხელი ჩაეკიდნათ, რომ მუხლებს არ ეღალატნათ და იქვე არ ჩაკეცილიყვნენ. მისჩერებოდნენ, სანიტრებს როგორ გამოყავდათ მანქანიდან ხანგრძლივი და მძიმე გზით, შიმშილითა და ათასგვარი ტანჯვით დაუძღურებული ბავშვები, ზოგი დაჭრილი იყო, ბინტებში გახვეული. სახეები ჩაყვითლებული ჰქონდათ და მეტად გამხდრები ჩანდნენ. მანქანა ტყვიამფრქვევით იყო დაცხრილული, მისი ფანჯრები ფირფიცრით ამო-

ეტხრათ. ქალებმა ყველაფერი ეს რომ დაინახეს, იქნებ ახლა, პირველად, მიხვდნენ თუ რა საშინელება ხდებოდა იქ, შორს მათგან, სადაც ცეცხლის ზვირთები დაგორავდნენ, სადაც იბრძოდნენ და ბრძოლის ველზე სიცოცხლეს ეთხოვებოდნენ მათი შვილები, ქმრები, ძმები, მამები.

ბავშვები, უცარი სიმშვიდით დარტყანებულნი, ერთად შეგროვდნენ. ამ პატარებს თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე იმდენი ტანჯვა-ვაება უნახავთ, რასაც ზოგიერთი ადამიანი მთელ თავის სიცოცხლეში ვერ განიცდის. ისინი შიშით, ქვეშ-ქვეშ უცქერდნენ შავგვრემან, მათთვის უჩვეულოდ ჩაცმულ ქალებს. მათ ყურებში ჯერ ისევე ზუზუნებდა გავლილი გზის ხმაური და გარშემო ჩამოწოლილი ზვიადი მთები სულს უხუთავდნენ.

პირველი დარეჯან გორგილაძე გამოერკვა, — სოფელში ყველაზე ხნიერი და ყველაზე ცნობილი კოლმეურნე ქალი. იგი წადგა წინ, ხელი დაადო მხარზე ვალიას.

— ტირილი რას მიქვია! გაიღიმეთ! მტკიცე ხმით წარმოთქვა მან, თითქოს თვითონ მას ღვარღვარად არ ჩამოსდიოდა ცრემლი. — დაე, პირველი რასაც დაინახავენ აქ ეს ბავშვები, დედის ღმილი იყოს. უკრაინელი ქალები გვაბარებენ თავის ბავშვებს, და იმაზე მეტი პატივი არა არის რა, რომ ასეთ დროს გამოადგე კარგ ადამიანებს. მაღლობა გადავუხადოთ უკრაინელებს, რომ მათ სწამთ ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა.

იგი ლაპარაკობდა მხატვრული ენით, ისე, როგორც ჩვეულებრივ ლაპარაკობენ ამ ქვეყანაში, სადაც თვის ბუნება, თითქოს, უკრაინაზე ადამიანს ნათელ, შედარებებით სავსე სიტყვას. დაასრულა თუ არა ეს დარეჯანმა, გულში ჩაიკრა ვალია და წარმოთქვა ორი სიტყვა, რომლებშიც ენითგამოუთქმელი სათნოება და უღრმესი სიყვარულის გრძნობაა ჩაქსოვილი: „შენი ჭირიმი“. ახლა ეს სიტყვები გაგებული უნდა ყოფილიყო თავისი პირდაპირი მნიშვნელობით: „შენი ჭირი მე მქონდესო“.

მე აღარ გავაგრძელებ, თუ როგორ გაინაწილეს კოლმეურნე ქალებმა ბავშვები ხუთში, თავს როგორ ევლებოდა დარეჯანი ვალიას, როგორ სწავლობდა იგი სხვა უკრაინელ ბავშვებთან ერთად ადგილობრივ სკოლაში.

გაკვრით ვახსენებ იმ საშინელ საღამოსაც, როცა დარეჯანმა ცნობა მიიღო დონბასის მეშახტეთა სოფელში ფაშისტებთან ბრძოლის დროს თავისი ქმრის გმირულად დაღუპვის შესახებ. მთელი კვირა მკვდარივით, გაუნძრევლად იწვა დარეჯანი ლოგინში. ვალია თავს დასტრიალებდა, ეალერსებოდა და კოცნიდა თავის დედობილს და ცდილობდა მისი დიდი ვარამის გაქარვებას.

ომის შემდეგ ბავშვები უკრაინაში დაბრუნდნენ. მხოლოდ ვალიას არავინ მოაკითხა: მისი მშობლები ომში დაიღუპნენ. მაშინ დარეჯანმა მტკიცედ განაცხადა, რომ იგი ვალიას არსად გაუშვებს და მას დედობას გაუწევს.

მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას იმ დღეზე, როცა დარეჯანი, განიერი ქამრით წელზე მიკრული კალათით ჩაის პლანტაციაზე გამოვიდა და თან თავისი ვალია, თექვსმეტი წლის გოგონა მოიყვანა. დარეჯანმა ხელი გაიშვირა, აჩვენა ვალიას ირგვლივ გადაშლილი ჩაის ბუჩქები და წარმოთქვა თავისი საყვარელი სიტყვები:

— შეხედე, ვალია, და დაიმახსოვრე: რა კარგია, როცა შენ კარგ ადამიანებს არგისარ!

პლანტაციაზე, მართლაც, ბლომად იყვნენ კარგი ადამიანები. ისინი ყველანი მხოლოდ დარეჯანს მისჩერებოდნენ. ზოგი — რაიონული ცენტრიდან ჩამოსულები — იდგნენ საათითა და ბლოკნოტით ხელში, ერთ სტუმარს კი, რომელსაც თავზე ეხურა ჭრელი კეპი და მაღალყელიან წინდებში ჩატანებული განიერი შარვალი ეცვა, ხელში ეჭირა სწორედ ისეთი აპარატი, რომლითაც კლუბში კინოსურათს უჩვენებენ. როცა ვალიამ ჰკითხა ამ ძიას, რა კინოსურათს უჩვენებენო, მან მხოლოდ გაიღიმა: ჯერ უნდა გადავიღოთ, თუ როგორ მუშაობს ამხანაგი დარეჯანი, მერე კი შევიძლიათ ნახოთ თქვენს კლუბშიაც და ყველგან, სადაც კი მოისურვებთო.

ამ დღისათვის ყველაზე მეტად ვალიას დედობილი ემზადებოდა.

ახლა დარეჯანმა შეავლო თავისი გამჭრიახი თვალი უახლოესი ბუჩქის ხავერდოვან, მზზე მზზინავ ფოთლებს. კოპები შეიკრა, და წინ გაიშვირა არა ცალი ხელი, როგორც ამას ჩვეულებრივ მკრეფავები აკეთებენ, არა! — ორივე ხელი. ირგვლივ დამსწრეებმა კმაყოფილებით დააქნიეს თავი, ღმილი აუთამაშდა სახეზე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, გაისმა ჩურჩული: — შეხედეთ; აი რა მოიგონა. ორი ხელით! ორჯერ უფრო სწრაფად.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მკრეფავმა გაშალა ორივე ხელის თითები. თვალი მოავლო ბუჩქს. ჩაავლო ხელები ორ-ორ ყლორტს—ცერიტა და მაჩვენებელი თითით, შუა და უსახელო თითებით, ამას მოჰყვა ხელის მტევნის წრისებრი მოძრაობა, მოსწია თავისკენ და ოთხი ყლორტი ჩავარდა კალათაში.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდი იყო. ვალიამ შეამჩნია, რომ მის დედობილს ბაგეები შეუტოკდა. ახლა მკრეფავის ხელები ბუჩქს არ მოსცილებია არც მაშინ, როცა ოთხი ყლორტი ერთად მოგლიჯა.

ჭრელკეპიანმა ძიამ შეავლო თვალი გაოცებულ ხალხს, რალაც დაიყვირა, დავარდა აპარატი ხელში მიწაზე და გაშმაგებით დაუწყო სახელურს ტრიალი. თითქოს მას ეშინოდა, რომ დარეჯანს უმცრად დაავიწყდებოდა თავისი შემდგომი მოძრაობა და ერთბაშად ჩამოხედილობდა, ან მიწა გასკდებოდა და ყველაფერი შთაინთქებოდა; ხალხი ველარ იხილავდა იმას, რაც აქ მოხდა, ამ საკომეურნეო პლანტაციაზე.

დარეჯანმა კი ამ დროს უბრალოდ მოინაცვლა მოგლეჯილი ყლორტები ხელისგულის კანდაგან და ნეკით დაიჭირა. და მხოლოდ მაშინ ჩაყარა ისინი კალათაში, როცა ორივე ხელის პეშვი ფოთლებით აეგსო. ერთ-ერთმა რაიონულმა მუშაკმა, რომელსაც ხელში საათი ეჭირა, წამოიძახა:

— ამას რას ვხედავ, თორმეტი ყლორტი ერთი წამის განმავლობაში. ასეთ რამეს დედამიწის ზურგზე ჯერ არავინ მოსწრებია.

და მაშინ, თითქოს ხომალდი ზღვაში შეცურდაო, დარეჯან გორგილაძე დაიძრა და ბუჩქიდან ბუჩქზე გადადიოდა თავისი მარდი, მოქნილი ხელებით.

მისი ხელის მტევნის მოძრაობის თვალყურის დევნება შეუძლებელი იყო. გეგონებოდათ, რომ მისი თითები და ხელისგული მხოლოდ ცახცახებენ. აი ორივე პეშვი სავსეა ფოთლებით, აი ორივე ხელი მისწვდა კალათას,—და მეთვალყურე საათით ხელში ხმადაბლა, თითქოს ეშინია მკრეფავის ზეშთაგონება არ დავაფრთხოთ, აცხადებს, რომ დარეჯან გორგილაძე წუთში აკეთებს ასობით მოცდათექვსმეტ მოძრაობას მარჯვენა ხელით და ასორმოდამსამს — მარცხენაით. სხვანაირად არც შეიძლებოდა. დამწიფებული ყლორტები იმავე დღეს უნდა მოიკრიფოს, თორემ გახევდება და მისგან კარგ ქართულ ჩაის ველარ დააყენებ. მუშაობაც ელვისებურ სწრაფი უნდა იყოს. ამას მიაღწია დარეჯანმა. და აი, ახლა, კალათა კალათაზე ივსებოდა, ურემი ურემზე, და მკრეფავები ამბობდნენ, რომ დარეჯანი ერთ წუთში იმდენს ჰკრეფს, რასაც ჩვენ აქამდე მთელ საათს ვუნდებოდითო.

როცა დარეჯანმა დაასრულა მუშაობა, წელში გაიმართა და თვალში გადაავლო ირგვლივ შეკრებილთ. მასთან მიიღწინა აღელვებული კოლმეურნეობის აღმრიცხველმა. ენის ბორძიკით, სხაპასხუპით თქვა მან, რომ თუ შეცდომა არ იყო დაშვებული, თუ სასწორი წესიერად წონიდა, თუ მიმდებ პუნქტზე სწორად აწარმოებდნენ ჩაწერას, მაშინ დარეჯან გორგილაძემ დღეს თითქმის მთელი ერთი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, და რომ ეს ბევრად აჭარბებს მსოფლიო რეკორდს...

დარეჯანს მოსცილდა სახიდან სიმკაცრე და მიუკარებლობა, და ჩუმად ჩაილაპარაკა:

„ეს ყველაფერი თქვენთვისაა, თქვენთვის! კარგია, თუ ხალხს რამედ ვარგივარ“.

ვალაია ისმენდა თავისი დედობილის სიტყვებს. და კიდევ ერთხელ გაახსენდა, თუ როგორ გადმოიყვანეს იგი ტყვიით დაცხრილული ავტობუსიდან ამ მისთვის უცნობ მიწაზე. კეთილმა ადამიანებმა ალერსით მიიღეს იგი და ჩააბარეს საუკეთესოს თავიანთ შორის. და აი, ვალიაც უნდა გახდეს კარგი ადამიანებისათვის გამოსადეგი ადამიანი.



ჩაის პლანტაციაზე დარეჯან გორგილაძის გვერდით მწყობრში ჩადგა ახალი, ამაყი და ძლიერი ადამიანი.

ვალიას მიერ მხენელ-მთესველ მამა-პაპათავან შესისხლხორცებული შრომისადმი სიყვარული შეუერთდა იმ კარგ ჩვევებს, რომელიც თავისი დედობილისაგან შეითვისა. შრომა — ყველგან შრომაა, ჩაის ბუჩქი კი ბავშვივითაა. მას მუდამ თვალყურს უნდა ადევნებდე, უკლიდე, რომ ის გემორჩილებოდეს. არა მარტო მიწის დამუშავება, ქარსაცავი ზოლები, სარწყავი არხები აიძულებენ ჩაის ბუჩქს ადამიანის მორჩილი იყოს. მრავალჯისი ფორმირებისა და გასხლვის შედეგად ის დაიწყებს ისე ზრდას, როგორც ეს მოსახერხებელია მკრეფავისათვის. დამწიფებული ყლორტების მოკრეფის შემდეგ, ადამიანი აიძულებს ბუჩქს მოგვეცეს სულ ახალი და ახალი აღმონაცენები, ახალი მოსავალი.

ვალაია სწავლობდა ხელების გასაოცარ მოძრაობას, რომელიც გამოიგონა მისმა დედობილმა. დროდადრო მას მთელ სხეულში ტეხდა, მაგრამ იგი კვლავ და კვლავ აღფრთოვანებული იმეორებდა დარეჯანის საყვარელ სიტყვებს, ეს სიტყვები მას ძაღლონეს მატებდა. ეს იყო მისი მადლობა იმათ მიმართ, ვინც იგი კარგ ადამიანად გაზარდა, — და განა უმადურობას სიკვდილი არა სჯობია?!

თუმცა აქ რალაც უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მადლობა. დარეჯანი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ვალიას მუშაობას და ხუმრობით ამბობდა: აი, თურმე, რამდენი რამ შეგძლებია, უკრაინელო გოგონავ! და სიამაყით ივსებოდა ვალიას გული: შეხედეთ, რამდენი რამ შეგძლებია უკრაინელ გოგონასო! ვალაია აღარც ფიქრობდა მშობლიურ მხარეში დაბრუნებას. მისი სახლი აქ იყო, აქ, სადაც მისი შრომა მთელი ქვეყნის შრომას უერთდებოდა.

...და აი ვალაია მისხამს წყალს ხელებზე თავისი კოხტა პატარა დოქიდან.

— როგორ გრძნობ თავს აქ ვალია? — ვეკითხები მას.

— მშვენივრად. ყველგან კარგია, სადაც გამოადგები კეთილ ადამიანებს.

გოგონამ სიყვარულით სავსე, ცოტა ეშმაკური თვალებით შეხედა დარეჯანს და დაუმატა:

— საბჭოთა ადამიანებს.

მერე მხრიდან ჩამოიღო პირსახოცი და მომაწოდა. ვალიას მკერდზე ლენინის ორდენი კიაფობდა.





აღ. ყიფიანი

ფოტო კ. კრიმსკისა

ახალგაზრდა ქალს ხელში აუყვანია ბავშვი, იღიმება პატარა, იღიმება ბედნიერი დედაც. აი, ასეთი ქანდაკება დგას № 1 სამშობიარო სახლის შესასვლელთან...

ღრმადელის რაიონში მრავალი სამრეწველო საწარმოა მოთავსებული. ამ საწარმოებში მუშათა მნიშვნელოვან პროცენტს ქალები წარმოადგენენ. სწორედ მათ ემსახურება № 1 სამშობიარო სახლი, რომელიც კეთილმოწყობისა და მედპერსონალის მაღალი კვალიფიკაციის მხრივ ერთ-ერთი პირველთაგანია.

* * *

ის მშობლიური მზრუნველობა, ის უფასო საექიმო დახმარება, რომლებსაც იღებენ ჩვენი ქვეყნისა და, მათ შორის, თბილისის ქარხნების მუშა ქალები პირდაპირი შედეგია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც ქალს შრომისა, დასვენებისა და ბედნიერი ცხოვრების დიადი უფლებები მიანიჭა. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არის იმდენი სამშობიარო სახლი, იმდენი საბავშვო ბაგა, რამდენიც საბჭოთა კავშირში. სამშობიარო დახმარება კაპიტალისტურ ქვეყნებში მდიდართა პრივილეგიას წარმოადგენს. ქალის უფლებობა იქ გადაულახავ წინააღმდეგობად უდგება წინ დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

* * *

მელოგინე ქალთა პალატაში სწორედ იმ დროს შევედით, როდესაც სამედიცინო დებმა დედებს ჩველი ბავშვები შემოუყვანეს გამოსაკვებად; აი, ახალგაზრდა დედა ელენე ვაშაკიძე, იგი ექიმი — სტომოტოლოგია, 1949 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, პირველად გარდაბანში მუშაობდა, ახლა კი ქარელის რაიონში მსახურობს. იგი ორი ვაჟის დედაა.


პირველი შვილიც წამ სანშობიარო სახლში შეეძინა. ელენემ შორიდანვე მოჰკრა თვალი თავის ბიჭუნას, სამედიცინო დას რომ მოჰყავდა ხელში აყვანილი. ბედნიერების ღიმილი მოეფინა დედის სახეს, თვალეები გაუბრწყინდა ახალგაზრდა ქალს. ამ დროს არ შეიძლებოდა არ მოგგონებოდათ სამშობიარო სახლის შესასვლელთან აღმართული ქანდაკება: მოქანდაკემ ხომ მასში ტიპური, ნაცნობი გამოხატულება გამოძერწა ბედნიერი საბჭოთა დედისა. ასეთივე ღიმილი იბადება სოფიო ხახაშვილის სახეზე, იგი თიანეთის სკოლის დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელია. მას ამ ორი დღის წინათ ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა... აი, აბუთიძე ალექსანდრა, ამას წინათ მას გაუკეთეს ე. წ. კეისრული ვაკვეთა, ეს მეტად მძიმე ოპერაცია ბრწყინვალედ ჩაატარეს ექიმებმა ნადარეიშვილმა და ენუქიძემ, გადა-

არჩინეს დედაც და ბავშვიც. ელისაბედ შენგელიასაც ვაჟი ეყოლა. ელისაბედი „პლასტმასის“ ქარხანაში მუშაობს, მისი მეუღლე კი ორთაქალქის მშენებლობის მოწინავე მუშაკია. მარია ხოდენკო მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს სამშობიარო სახლში. ექიმებს ექვსჯერ მოუხდათ მისთვის სისხლის გადასხმა, რის შედეგად ჰემოგლობინის ერთეული სმ³-ში 30%-დან 60%-მდე იქნა აყვანილი. ახლა იგი კარგად გრძნობს თავს და მალე დაუბრუნდება სამუშაოს. მარია 13 წელიწადია, რაც მხვეველად მუშაობს სატრიკოტაჟო კომბინატში. გეგმას 150 %-ით ასრულებს.

— კი მაგრამ მუშაობის დროს ვისთან ტოვებთ თქვენს ბავშვებს? — ვეკითხებით მარიას.

— ვისთან? კომბინატში ხომ ბავშვთა ბაგა გვაქვს — ოდნავი გაკვირვებით გვპასუხობს მარია და იღიმება, თითქოს ელემენტარული ამბავის უცოდინარობაში დაგვიჭირა.





არ მარტს ასი წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო დომოურის დაბადებადან. ნიკო დომოური უაღრესად პოპულარული, ახალგაზრდობის საყვარელი მწერალია. მისი „ლი“ და „ქაჯანა“, მისი „პაწია მეგობრები“ მღელვარებით აღაგზნებენ ნორჩი მკითხველის გულს. მისმა საუკეთესო მოთხრობებმა: „ბედი უბედურთა“, „ქრისტიანი ლეკები“, „ყოველს მხრიდან“, „ბერუა ქრისტესიაშვილი“, „წუთისოფელი“, „დეიდა სიდონია“ და სხვა, დიდი მხატვრული უშუალოებით გადაგვიშალა მშრომელთა დუხბირი ცხოვრება მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის შავბუნელ ხანაში; ამ მოთხრობებში ნიკო დომოურმა მოურიდებლად ამხილა თვითმპყრობელი რევებისა და რელიგიის კლასობრივი არსი, მან თავის მხატვრულ ქმნილებებში დიდი მგზნებარებით გამოხატა ბატონობის, ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა.

* *

ნ. დომოური სამწერლო სარბიელზე გასული საუკუნის სამოცამეტი წლების მიწურულში გამოდის. ჯერ სემინარიის ხელნაწერ ქურონალში ათავსებს ორიგინალურ ლექსებსა და თარგმანებს, ხოლო 1869 წლიდან სერგეი მესხის „დროებაში“ და სხვა ბერიადული გამოცემებში იწყებს თანამშრომლობას. თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ნიკო დომოურმა მეცხრამეტე საუკუნის სამოცამეტი წლის წლებში შემდეგ შექმნა.

პირველად საყოველთაო ყურადღება „ლის“ გამოქვეყნებით მიიპყრო. მის ამ მოთხრობას ფართო მოწონება ხვდა და მასივით პოპულარულ ნაწარმოებად იქცა. „ლის“ მოჰყვა „ბედი უბედურთა“ და „ქაჯანა“, „ყოველს მხრიდან“, „წუთისოფელი“,

„წინაპართა აჩრდილი“, „ბერუა ქრისტესიაშვილი“ და სხვ.

თავის მოთხრობებში რეალისტმა მწერალმა ამხილა როგორც სოციალური უთანასწორობა, ისე ცრუმორწმუნეობისა და რელიგიის ანტიხალხური, რეაქციონური ბუნება. ნიკო დომოურმა თავიდანვე ხალხის, კერძოდ, სოფლის ცხოვრების ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა; მან დაგვიხატა თავისი დროის საზოგადოებრივი ყოფის უაღრესად ტიპური სურათები. ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებთან ერთად ნიკო დომოურმა შეითვისა რუსი სამოციანელების რევოლუციური-დემოკრატიული შეხედულებები. ჯერ კიდევ კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ღრმად დაეწაფა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, შევჩენკოს შემოქმედებას და მთელი არსებით გლხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის მიზნებით გაიმსჭვალა, მან შეითვისა რუს სამოციანელთა განმანათლებლური იდეები და სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩაება პრაქტიკულ მუშაობაში მშრომელი მასების გათვითცნობიერებისათვის. განმანათლებლურ იდეებს იგი გამოხატავდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებშიც, რადგან გლეხის დაჩაგრვისა

და დაბეჩავების ერთ-ერთი მთავარ მიზეზად ჯუჯანათლებლობა მიანიხნა. ნიკო დომოური სხვა განმანათლებლებთან ერთად, დიდ იმედებს ამყარებდა ხალხში გასვლას, და-სწავლა-განათლების დანერგვაზე.

ნიკო დომოურის მხატვრულ ნაწარმოებთა პერსონაჟები ხშირად მარცხდებიან იმიტომ, რომ მათ სათანადო განათლება არა აქვთ. სწავლა-განათლებას, მეცნიერებას მწერალი შესანიშნავად უპირისპირებს რელიგიას, ცრუმორწმუნეობას. მისი „პაწია მეგობრები“ ერთი საუკეთესო ქმნილებაა, რომელიც ემსახურება მეცნიერების პროპაგანდას, ადამიანებში მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას.

ნიკო დომოურის ქმნილებები ყურადღებას იქცევენ მხატვრული თავისებურებითაც. ნიკო დომოური პეიზაჟის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია, მას კარგად ენერგება ტიპების ხატვაც. მისი მოთხრობები განსაკუთრებით გამოირჩევიან ენის სისადავით და სიმდიდრით. დომოურმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ლიტერატურული ენის გახალსურებაში. მისი მოთხრობები ენის მხრივ ნამდვილად სანიმუშოა არიან.

ლიტერატურული ენის საკითხებში ნიკო დომოური იმ პრინციპებს იცავდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი ანვითარებდნენ. თავის დიდ თანამედროვეებს ნიკო დომოური გვერდში ედგა და მხნედ იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის.

ნიკო დომოურმა მთელი თავისი ცოდნა, ნიჭი და ენერჯია უანგაროდ მოახმარა ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახურს. მისი მაღალი ზნეობითა და კეთილშობილი ჰუმანიზმით გამსჭვალული მხატვრული შემოქმედება დღესაც ხელს უწყობს ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის აღზრდას.

მრ. ქარელიძისილი

ცოტახნის შემდეგ ბავშვები ისევ ახალშობილთა განყოფილებაში გადაჰყავთ. ამ ოთახში, ასე ვთქვათ, ტევა არ არის; 80 პატარა საწოლია და თითქმის ყველა დაკავებული. დანაყრდენ და ახლა ძილს აპირებენ პატარა მოქალაქეები. ჯერ მათ სახელები არც გააჩნიათ. მხოლოდ მშობელთა გვარები სწერია საწოლში ჩადებული ანკეტებზე. აი, დღეს დილით დაბადებულები: ბითაძე და გელდიაშვილი. რა ბრწყინვალე და საინტერესო მომავალი ელით ამ პატარებს! ვინ იცის რა პროფესიის ადამიანები გამოვლენ, იქნებ რომელიმე მათგანი ისევ ამ სამშობიარო სახლში მოვიდეს ექიმად, სადაც თვითონ დაიბადა. სამედიცინო დები და ექთანები კი ერთი წუთითაც არ ანელებენ ყურადღებას ახალშობილთა მიმართ. მათ უყვართ თავიანთი საქმე, რომელსაც მართლაც რომ ძვირფასი ნაყოფი მოაქვს.

— ჩვენი მეურნეობა ხომ არ დავათვალიეროთ? — ამოიხს მთავარი ექიმის ი. დ. კვანტალიანის მოადგილე ამხ. ნესტორ ებრალიძე. ვნახულობთ კვარცისა და დიათერმიის კაბინეტს, სასტერილიზაციო აპარატურას, საკონფერენციო დარბაზს, რომელშიც ბიბლიოთეკაცაა მოთავსებული. ბოლოს კი ეზოში ჩავდივართ. აქ აშენებულია საკმაოდ მოზრდილი სასადილო. სადილები პატარა ლიფტის საშუალებით ნაწილდება სამშობიარო სახლის სართულებში. სასადილოს ახლოს სადგინოზექციო კამერაა. იქვეა სამრეცხაო და საუთოო განყოფილებები.

ჩვენ გვერდით ჩავუარეთ პატარა, ერთსართულიან ფიცრულს. კარებზე დიდი, ჩაქანგული ბოქლომი ჰკიდია.

— ეს „მორგია“ — ამოიხს ნესტორ ებრალიძე — მაგრამ კარგა ხანია არ გაგვიღია, იშვიათად ვსარგებლობთ. მართლაც, № 1 სამშობიარო სახლში სიკვდილიანობის შემთხვევები თითქმის ნულამდეა დაყვანილი. უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში კი



მარტო ამ სამშობიარო სახლმა 12.000-მდე მოქალაქე შესძინა სამშობლოს.


როდესაც მთავარი ექიმის კაბინეტში დავბრუნდით ნ. ებრალიძე ავადმყოფთან გამოიძახეს. სწორედ ამ დროს აწკრიალდა ტელეფონის ზარი. დერეფანშიც არავინ არ იყო. ამიტომ ყურმილი ავიღე.

— მაპატიეთ, — მოისმა მამაკაცის ოდნავ ალღევებული ხმა — ხომ არ მეტყვიტ როგორ არის ჩარბოლაშვილის ბავშვი?

— კარგად, ძალიან კარგად! — უნებურად წამომცდა და ყურმილი ჩამოვკიდე. უნებურად იმიტომ, რომ სრულებით არაფერი არ ვიცოდი იმ ბავშვის შესახებ. მაგრამ იქ, ახალშობილთა განყოფილებაში ხომ 80-ვე ბავშვი კარგადაა, მათ შორის ხომ არც ერთი არ იყო ავადმყოფი. ე. ი. სწორად ვუპასუხე.

ასეთი რწმენით, ასეთი დაბეჯითებით იცის თვითეულმა საბჭოთა მოქალაქემ, რომ მათ შვილებზე მთელი მონდომებით და გულსისყურით ზრუნავს საბჭოთა ხალხი და საბჭოთა ხელისუფლება, ზრუნავს და არაფერს არ იშურებს იმისათვის, რომ სამშობლოს აღუზარდოს ჯანმრთელი, მტკიცე ნებისყოფიანი და ბედნიერი მომავალი თაობა.





ალექსანდრე როინაშვილი

ბ. ზაბიძე

ალექსანდრე როინაშვილი ეკუთვნის გასული საუკუნის შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს. იგი დაიბადა დუშეთში 1846 წელს, სახანო ემის ოჯახში. 1860 წელს მეზობლების დახმარებით გათავისუფლდა ემის მდგომარეობიდან. რამდენიმე წელიწადს სწავლობდა თბილისში ფოტოგრაფსა და ფერწერაზე მომუშავე ხლამოვთან.

ზატონცემობის გადავარდნის ხანაში ა. როინაშვილმა ქ. თბილისში გახსნა საკუთარი ფოტოგრაფია, სადაც კარგა ხანს, გარდა ფოტო გადაღებისა, ფერწერაზედაც მუშაობდა.

არაჩვეულებრივი ნიჭით და შრომისმოყვარეობით დაჯილდოვებულმა ა. როინაშვილმა თვითგანვითარებით შეიძინა თავის დროისათვის შესაფერისი საფუძვლიანი ცოდნა და სრულიად ახალგაზრდა ჩაება საზოგადოებრივ, საქვეყნო საქმეებში. აქვსენტი ცაგარელის და სხვების მოწმობით, მან დიდი დახმარება გაუწია თვითმოქმედ წრეს, რომელსაც ნიკო ავალიშვილი მეთაურობდა. თვითმოქმედი წრე შემდეგ მუდმივ დასად ჩამოყალიბდა. ა. როინაშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შეამჩნია, რომ საქართველოში იღუპებოდა ისტორიული მნიშვნელობის სამუშეუმი ექსპონატები, ქართველ ერს ხელიდან ეცლებოდა ძვირფასი ხელნაწერები, ხელოვნების სხვადასხვა

გ. გაგარინის ალბომში მოთავსებული შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომლის მიხედვით ა. ს. როინაშვილმა 1875 წ. შექმნა ახალი პორტრეტი.


ხაზის ნაწარმოებნი, საომარი, საკულტო და საოჯახო ნივთები. უცხოელების ხელში ჩაღის ფასად გადადიოდა ძვირფასი საისტორიო განძი. ცარიზმის პოლიტიკის გამტარებლების—მეფისნაცვლების, ეგზარქოსების, გუბერნატორების მხარდაჭერით იძარცვებოდა ქართული სავანეები, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა დიდძალი ძვირფასი ისტორიული ნივთები. მან თავიდანვე შეამჩნია, რომ უცხოელების მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ტერიტორიაზე მტაცებლურ ხასიათს ატარებდა.

როინაშვილმა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიწყო სამუშეუმი ექსპონატების შეგროვება. დააარსა მუზეუმი და მოაწყო გამოფენა. 1887 წელს, თავისი მუშეუმით იმოგზაურა რუსეთის ქალაქებში: პეტერბურგში, მოსკოვში, ასტრახანში და სხვაგან. ა. როინაშვილის ამ ახალ წამოწყებას ქართველი და რუსი მოწინავე ინტელიგენცია მოწონებით გამოეხმაურა. თავის მუშეუმის გასაძლიერებლად მან მწლის განმავლობაში იმოგზაურა დაღისტანის სოფლებში, სადაც არა ერთი ნივთი (ქართული ხელნაწერები, ფულები და სხვა) შეიძინა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობისას იგი იღებდა მნიშვნელოვანი ძეგლების, სამუშეუმი ნივთების, ტიპებისა და საზოგადო მოღვაწეების ფოტოსურათებს. მან დააარსა მეცნიერული მნიშვნელობის ფოტოარქივი.

ა. ს. როინაშვილი მთელი თავისი არსებით ცდილობდა საქართველოში დაარსებულიყო „ქართული საერო მუზეუმი“, ამ მიზნით მან 1886 წელს ა. ყაზბეგის თანდასწრებით შეადგინა ანდერძი, და მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა.

ა. როინაშვილი გარდაიცვალა 1898 წელს. მისი სიკვდილის გამო ილია ჭავჭავაძე წერდა: „ალექსანდრე როინაშვილი თავისთვის კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავის ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა არა ჰქონია“.

იმავ წელს საზოგადოებამ ჩაიბარა ქონება და თავის წლიურ ანგარიშში შემდეგი აღნიშნა: „საანგარიშო წელს კი ეს წიგნთსაცავი (საუბარია საზოგადოების წიგნთსაცავზე) ნამდვილს მუშეუმად გადაიქცა, რადგან მთელი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექცია განსვენებულის როინაშვილისა, როგორც



ა. ს. როინაშვილის შოთა რუსთაველის პორტრეტის საბოლოო ვარიანტი (თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფოტოსურათის რეპროდუქცია).

სხვა ყოველივე მისი შექმნა შეიქმნა საკუთრებად საზოგადოებისა“.

როინაშვილი ზრუნავდა ხალხის განვითარებაზე. მან საკუთარი ინიციატივით დააარსა დუშეთის და სურამის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. თავის ბინაზე თავი მოუყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ობოლ და ღარიბ ბავშვებს და თავისი ხარჯით ზრდიდა სხვადასხვა სასწავლებლებში. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ყველა იმდროინდელ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

პრესის ცნობებით, კერძო ოჯახებში და დაწესებულებებში აღმოჩენილ საბუთებით მტკიცდება, რომ ა. როინაშვილმა ისარგებლა გაგარინის ალბომში მოთავსებული სურათით და შექმნა შოთა რუსთაველის ამჟამად გავრცელებული პორტრეტი.


როინაშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.



ცნობილი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ა. გოგოტიძე ფოტო მ. მისილოვისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ბ. ბაბაშვილის სსოვრეობიდან

თავისი სამხატვრო განათლების შეგების მიზნით, ახალი ქართული მხატვრობის ფუძემდებელი გიგო გაბაშვილი, 1894 წელს გაემგზავრა გერმანიაში და შევიდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიის კომპოზიციის კლასის უკანასკნელ კურსზე. იმის შესახებ, თუ რა ატმოსფერო სუფევდა ამ დროს მიუნხენში, რას წარმოადგენდა მიუნხენის „განთქმული“ სამხატვრო სკოლა — გადაგვარების გზაზე დამდგარი ბურჟუაზიული ხელოვნების ეს ტიპიური კერა, რა დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა მხატვარს — დაწვრილებით ვეცნობით მისი პირადი წერილებიდან თავისი ახლო მეგობრის, ცნობილი ქართველი მხატვრის დავით ალექსის-ძე გურამიშვილისადმი. ვბეჭდავთ ერთ ამ წერილთაგანს, რომელსაც უპირატესად დიდი მნიშვნელობა აქვს განთქმული ოსტატის შემოქმედების სწორად გაგებისათვის.*

2/14 ივლისი.

1895 წ. მიუნხენი.

ძვირფასო დავით ალექსანდრეს-ძე!

ეს-ესაა მივიღე თქვენი წერილი და ვიჩქარი გიპასუხობ. თქვენ რუბოს მისამართზე მოგიწერათ, ის კი კიბოში გაემგზავრა სახაფხულოდ, რის გამოც თქვენი წერილი კიბოში მოხვდა და მხოლოდ მეექვსე დღეს მივიღე გახსნილი, სხვა კონვერტით. ჩემი თხოვნა იქნება, დავით ალექსანდრეს-ძე, წერილები მომწეროთ პირდაპირ აკადემიაში. ეს პირველი წერილი როდია, რომელიც ჩემამდე გახსნილი მოდის; ამის შესახებ მე მას ვუსაყვედურე კიდევ, მაგრამ მან თავის დას დააბრალა, თითქოს იგი აკეთებდეს ამას შეცდომაში. ვინ არის მართალი, ალაპა უწყის!

ძვირფასო დავით ალექსანდრეს-ძე! ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამაზარეთ თქვენი წერილით; მე არც კი ვიცო, როგორ გადავიხადოთ მადლობა ყოველივე იმისათვის, რასაც თქვენ ჩემთვის მუდმივად აკეთებდით, რა გულთბილობითაც მეპყრობოდით, მაგრამ შეიძლება ღმერთმა ქნას და უახლოეს მომავალში შევძლო გავამართლო ის ყურადღება, რომელსაც თქვენ ყოველთვის იჩენდით ჩემადმი.

თქვენ წერილთან ერთად ვაგზავნი განმანაწილებელი კომიტეტის სახელზე თხოვნას, რომელშიც დაწვრილებითაა გადმოცემული ყოველივე; ის დამარჩენია მხოლოდ თქვენი დახმარებლად გთხოვთ. ჩემ შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ცოტა დააკლდა, კინაღამ მოკვდი; სამ კვირაზე მეტს ვიწევი ლოგინში... მეტადინების შესახებ შემიძლია გითხრა, რომ პროფესორი ძალიან კმაყოფილია ჩემით; სწორედ პარასკევს იყო იგი ჩემთან და მთარგმნელის — კოლეგის მეშვეობით ითხოვა, გადმოეცათ ჩემთვის, რომ იგი ჩემით ძალიან კმაყოფილია და ძალიან მოხარული იქნებოდა, თუ მე დაეწვებდი უფრო სერიოზული სიუჟეტისა და დიდი ზომის სურათს, რადგან იგი ჩემში ხედავს დიდ ცოდნასა და ძალას. თუ განზე გადავდებ მოკრძალებას და პირდაპირ გეტყვით, ძვირფასო დავით ალექსანდრეს-ძე, მე უიმისოდაც ვიცი ჩემი კოლეგის ნამუშევრების მიხედვით, თუ რამდენად ძლიერი ვარ. რა თქმა უნდა; პირველ ხანებში დიდი ძალ-ღონის დაქიშვა მომიხდა, რათა მომეპოებინა ნიჭიერი ადამიანის რეპუტაცია, მაგრამ ახლა (მე იგი უკვე მაქვს) არა მარტო ჩემს კოლეგათა შორის, რომლებთან შეხვედრასაც შესაძლებლობის ფარგლებში გაეურბივარ, რათა არ გადამედოს გონებალუნგი მოდერნული მიმართულება და არ დაეკარგო საკუთარი ფიზიონომია, რომელსაც მე ყველაზე მეტად ვუფრთხილდები. ყველაზე ძვირფასი მასწავლებელი ჩემთვის — ეს გამოთვლებია, ისინია სწორედ, წრფელი ალღოთი რომ წვივნი წინ მხატვარს. კოლეგებთან ურთიერთობას იმიტომაც გაეურბივარ, რომ პეტერბურგის აკადემიის შემდეგ მე დიდი ხნის განმავლობაში, 6 წელზე მეტს ვმუშაობდი დამოუკიდებლად; ახლა ჩემთვის თვით პროფესორის რჩევა-დარიგებაც კი აუტანელია. თუ აკადემიაში შევედი, მხოლოდ სახელოსნოს გულისათვის და, რაც მთავარია, ჩვენი საზოგადოების გულისათვის, რომ არაფერი დამწამონ. ეს, რომ იცოდეთ, ძვირფასო დავით ალექსანდრეს-ძე, რა ძნელია, — თქვენ ამას ვერც კი წარმოიდგენთ; მე ხომ ყოველივე ეს დიდხანია რაც გადავიტანე; ვმუშაობდი დამოუკიდებლად, უკვე 33 წლის ვარ; ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს?! მაგრამ მე დავრჩები (აქ) და რადაც არ უნდა დამიჯდეს, მივალწევ იმას, რისკენაც მივიღებ და რის მოპოვებასაც ვცდილობ. მე ჩემი ძალები დიდი ხანია აწონილი მაქვს და ძალიან კარგად ვიცი, რომ საჭიროა მხოლოდ დრო და სიბეჯითე, დანარჩენი კი თავისით მოვა. ძალიან მკიცხვენ მხატვრები, და მათ შორის ეიზენგუტიცი; იმისათვის, რომ მე აკადემიაში შევედი; კიცხვენ რუბოსაც, რომ აკადემიაში, შესვლა მირჩია. თვით რუბომაც, როდესაც ჩემთან იყო სახელოსნოში, აღიარა, რომ არ ფიქრობდით, თუ ასეთი მუშაობა შეგძლოთ თორემ ამგვარ რჩევას არ მოგცემდით, იგი გაოცებული იყო ჩემი წარმატებებით. ცხადია, მას 7-8 წლის

განმავლობაში არ უნახავს ჩემი ნამუშევრები და (რადგანაც) ეგონა, რომ დიდი ხნის განმავლობაში, რაც მე თბილისში დავყავი, არაფერი მიკეთებია და ამის გამო ჩამორჩი, — ასეთი რჩევა მომცა. მაგრამ როდესაც მან ჩემი სურათები ნახა. დამეთანხმა, აკადემიაში არ უნდა შესულიყავიო. აკადემიაში შესვლამდე მხატვართა იმ წრეში, რომელშიც მე მიხდებოდა ყოფნა, მიყურებდნენ ისე, როგორც მათს ტოლს, ხოლო აკადემიაში როდესაც შევედი, მხატვრებმა, რომ აღარაფერი ვთქვით ეიზენგუტზე, იაკობიდსონზე, ულსა და სხვებზე, ზემოდან დამიწყეს ცქერა, რაც მე, ისედაც ნერვიულსა და გულღიესს, ბავშვივით მალი-ზიანებდა და ზოგჯერ იქამდეც კი მიყავი, რომ თავს ვეღარ ვიკავებდი და მათი აპლომბის პასუხად სისაძაგლეს ვეუბნებოდი მათ. იყო შემთხვევა: მივდიოდით გამოფენაზე და თვითველი მათგანი ავტორიტეტულად სჯიდა, თვით ისინიც კი, რომლებსაც აბსოლუტურად არაფერი გაეგებათ; ხოლო როდესაც მე მომიხდა საკუთარი აზრის გამოთქმა, ბევრი იცინოდა იმისათვის, რომ მე ვლანძლავდი შტუტსა და ლენბახს და ვუწოდებდი მათ ოინბახებსა და შარლანტანებს ხელოვნებაში. განსაკუთრებით დასანანი იყო ლენბახი, რომელმაც მართლაც ძალიან ბევრი იცის ხელოვნებაში, მაგრამ მიამიტად მოაქვს თავი. იგი ძალიან ცდილობს ორიგინალობას, მაგრამ გერმანული გონება-ჩლუნგობის გამო ხშირად ისეთ აბსოლუტურ დილეტანტიზმამდე მიდის, რომ მზად ვიყავი მიმეტყუა კიდევ. ყოველივე ეს ჩემთვის გასაგებია. კაცი შემთხვევით გაახვიადეს, ჯერ შრომით გადიოდა, ძალიან ბევრ პირებს იღებდა ძველი ოსტატების ნამუშევართაგან, და მისგან დადგა ნიჭიერი, უკეთ, მუყაითი, შრომის მოყვარე ოსტატიც კი. მაგრამ ლენბახი აქ მართლაც გამოიჩინა აბსოლუტური უნიჭობაგან, და აი სწორედ ამ თემაზე შემიქმნა ლაპარაკი და ლანძღვა, რა თქმა უნდა, ამაზე გამომიწვიეს თვით მათ. თითოეულ მათგანს აინტერესებდა ჩემი, როგორც პროვინციელი კაცის, შეხედულება. თვით რუბოსთანაც კი მომიხდა შეგამთება. იგი მუხუბნება: შენ არაფერი არ გინახავს, ახალი მიმართულებისა არაფერი გესმის და პირდაპირ სფელიდან (ჩამოსულისათვის) ძნელიცაა განსაჯოსო. მე მას ამაზე ვუპასუხე, რომ შარლანტანებზე და ილიოტებზე მსჯელობა ყველგან შეიძლება და, რომ ამისათვის სრულიადაც არაა საჭირო პარიზში თუ მიუნხენში ცხოვრება-მეთქი. ამის შესახებ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო მხატვართა შორის. და აი ჯერ ორი თვეც არ გასულა და რუბომაც, ეიზენგუტმაც და სხვა მხატვრებმაც შეწყვიტეს ჩემადმი ასეთი მოპყრობა. პირიქით, მოდიან და მოხოვენ, გამოვთქვა ჩემი აზრი სურათების შესახებ და იქამდეც კი მიდიან, რომ თითოეული მათგანს პალიტრასაც მჩრის. ასე, რომ აქაც დავიმსახურე სახელი კოლორისტისა, მაგრამ არა მხატვრისა, და მე სერიოზულად ვფიქრობ თავისუფალ საათებში ნახატებზე ვიმუშაო.

გამოფენაზე სრული გამარჯვება მოიპოვა. როგორც ამის შესახებ ადრევე, ჯერ კიდევ გამოფენამდე ვამბობდი, რუსმა მხატვარმა რეპინმა, რომელსაც ოქროს დიდი ზედალი მიანიჭეს. თითქმის ყველა ერთხმად ცნობს რეპინის სურათს, როგორც ძლიერსა და საუცხოოს. ჩემდა არასასიამოვნოდ სიმართლედ უნდა ვთქვა, რომ გერმანელთა ხელოვნება ისე დაქვეითებულია, როგორცაა მე ვერც კი წარმოვიდგენდი. სამაგიეროდ ესპანელები, ინგლისელები და ფრანგებიც კი ყოჩაღობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეპინს მაინც ჩამოუვარდებიან.

ძვირფასო დავით ალექსანდრეს-ძე! თქვენ მწერთ დ. ი. ყიფიანის ძეგლის შეკვეთის შესახებ. მე ამის თაობაზე ველაპარაკე მოქანდაკეებს; მათ მოხოვეს ვაჩვენო მისი სურათი და, თუ შეიძლება, რადენიმე სახითაც; აგრეთვე, რა თანხა გაგაჩნიათ. რაც შეეხება შესრულებას, ამის თავდებობას მე ვკისრულობ. თუ იმ ნამუშევრების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებიც ამ მხატვართა მიერაა გამოფენილი, მათ ძალიან ბევრი სცოდნიათ. აქ ქანდაკება ჯერ კიდევ ისე არაა ათვალწუნებული, როგორც მხატვრობა.

ასე, ძვირფასო დავით ალექსანდრეს-ძე! გთხოვთ მომწეროთ რა ზომისა, რა მასალისაგან (იყოს), რა თანხა გააჩნია საზოგადოებას და ვისი ხარჯით იქნება ჩამოტანა. გთხოვთ დაწვრილებით მომწეროთ აგრეთვე სურათების შესახებაც. მეც ყოველივე ამაზე დაწვრილებით გიპასუხებ და წინასწარ გამოგიგზავნით იმ მხატვრის ნამუშევრის ფოტოსურათს, რომელიც იმუშავებს.

ასე, ძვირფასო დავით ალექსანდრეს-ძე! ერთხელ კიდევ დიდი და გულთბილად მადლობას მოგახსენებთ თქვენი ჩემადმი ყურადღებისათვის.

უსახლოვრად მადლობელი და ერთგული დავრჩები, მარად თქვენი მოყვარული თქვენი გიგო გაბაშვილი.

გულთბილი სალამი ყველა თქვენებს.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს წერილი ცხადად მოწმობს იმ ტრადიციის ძალას, რომელიც მხატვარმა რეალისტური ხელოვნებისაგან მიიღო, განამტკიცა და განავითარა რუსეთის პროგრესული მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენლებთან ახლო ურთიერთობაში.

ქეთევან ბაგრატიშვილი

* წერილი დაწვრილია რუსულად და დაცულია საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. აქ იბეჭდება მცირედენი რედაქციული ცვლილებებით; უმოთხრესი მათგანი ჩასმულია ფრჩხილებში.

მარინე იაშვილი

ბავშვობიდანვე განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი გამოიჩინა მარინე იაშვილმა. ოჯახური გარემოც ხელს უწყობდა ამ ნიჭის ზრდასა და გაფურჩქვნას,— მისი მშობლები მუსიკოსები არიან, ბავშვს ყოველდღე ესმოდა გამოჩენილი კომპოზიტორების მომავალი დოქტორები პანგები.

6 წლის მარინე ვიოლინოზე იწყებს მეცადინეობას თავის მამასთან, ლუარსაბ იაშვილთან. ერთი წლის შემდეგ მარინე უკვე გამოდის, როგორც სასკოლო—აკადემიურ, ისე სხვა საჩვენებელ კონცერტებზე. ათი წლის მარინე კი საკუთარ კონცერტებს, მართავს და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად უკრავს, როგორც სოლისტი.

სამამულო ომის პერიოდში იგი ხშირად გამოდიოდა კონცერტებზე ჯარის ნაწილებსა და პოსტილებში.

მარინე იაშვილი დღითი დღე იზრდებოდა როგორც შემოქმედელი, თანდათან იპყრობდა ფართო მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ათწლეულის მოსწავლე იყო, საკუთარი კონცერტებით გამოდიოდა როგორც თბილისში, ისე მოსკოვშიც. მის ნიჭს მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ.

1949 წელს მარინე იაშვილი გაწვეული იქნა მოსკოვში, სადაც მიმდინარეობდა იან კუბელიკის სახე-



მარინე და ირინე იაშვილები

ფოტო მ. კვირიკაშვილისა

ლობის პრალის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეთა შერჩევა. საბჭოთა კავშირიდან მასში მხოლოდ 4 კაცს უნდა მიეღო მონაწილეობა. პრეტენდენტი კი მრავალი იყო. მარინე მოხვდა კონკურსის მონაწილე 4 შემსრულებლის რიცხვში.

პრალაში გამართულ კონკურსში, გარდა საბჭოთა კავშირისა, მონაწილეობას იღებდა ჩეხოსლოვაკია, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, ავსტრია, იზრაელი და პოლონეთი.

მეტად რთული იყო კონკურსის პირობები, მაგრამ საბჭოთა სავიოლინო სკოლამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ოთხივე საბჭოთა მუსიკოსი საერთაშორისო ლაურეატი გახდა.

მარინე იაშვილი პირველი ქართველი მუსიკოსია, რომელმაც საერთაშორისო ლაურეატის სახელწოდება მიიღო.

რეცენზიებში ყველგან აღნიშნავდნენ მარინე იაშვილის ბრწყინვალე ტექნიკას, ფერების მრავალნირობას და დიდ ტემპერამენტს.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ახალგაზრდა მუსიკოსი სასწავლებლად გადადის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ მოსტრასთან. იგი თანდათან აუმჯობესებს თავის ოსტატობას, ავსებს რეპერტუარს. ამჟამად იგი სპეციალურ პროგრამას ამზადებს მომავალი საერთაშორისო კონკურსისათვის.

არანაკლებ ნიჭს იჩენს მისი ბატარა და ირინე. ისიც მცირე ასაკიდან მეცადინეობს მამასთან, პროფ. ლუარსაბ იაშვილთან.

ირინე იაშვილი ახლა 10 წლისაა. იგი ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეა და წარჩინებით გამოდის კონცერტებზე.


ნინო ჯავახიშვილი

მორფოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ანატომიის განყოფილების გამგე ნინო ჯავახიშვილი-კომანიძე რთულ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ფართო საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. იგი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 1945 წლიდან არის საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი. როგორც კომიტეტის წევრმა მან რამდენჯერმე იმოგზაურა უცხოეთში: იყო საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში.

— ამ ქვეყნებში მოგზაურობის დროს,— ამბობს ანხ. ნ. ჯავახიშვილი,— ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ მკურნალობის ყველა მეთოდები ატარებენ უაღრესი ეკონომიური გაკვირვების კვალს. ყველგან შესამჩნევი იყო თეთრეულის ნაკლებობა, არამარტო საერთოდ საავადმყოფოებში, არამედ საოპერაციო ოთახებშიც კი. ექიმის მიდგომა ავადმყოფისადმი, რჩევა-დარიგება, რომელსაც იგი აძლევს ავადმყოფს, გამომდინარეობს არა იმ საფუძვლებიდან, რომლებიც შემუშავებულია ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ, არამედ პირველ რიგში ავადმყოფის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობიდან. მაგალითად, ინგლისში ყოფნის დროს გავიგეთ,— განაგრძობს საბჭოთა მეცნიერი,— ექიმები და, საერთოდ, ჯანმრთელობის სამინისტრო ეწევიან პროპაგანდას, რომ შედარებით „მსუბუქი“ დაავადების დროს არ არის საჭირო ექიმის შეწუხება“.

ნინო ჯავახიშვილი უამბობდა ცნობისმოყვარე ადამიანებს ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის გრანდიოზულ მიღწევებზე, უამბობდა და სიამაყის გრძობით ეგებოდა გული, რომ იგი ამ დიდი ქვეყნის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქე იყო.

ნ. ა. ჯავახიშვილი კომანიძე
რეპროდუქცია მ. კუჭინიძის ფოტოდან



ლესია უკრაინკას

ქართული ნაცნობები

ლევან ასათიანი

ლესია უკრაინკამ ცხოვრების უკანასკნელი წლები საქართველოში გაატარა. აქ მან შეიძინა ახალი მეგობრები, აქ იგი ფიზიკურად აღდგებოდა თვალს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, აქ, პირველი რევოლუციის დღეებში, იგი გახდა მოწვეული ქართველი ხალხის გამორეული ბრძოლისა ცარიზმისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ.

ლესიას წერილებში, რომლებიც პირველი რევოლუციის წინა ხანის ეკუთვნის, ან კიდევ თვით რევოლუციის დღეებში არიან დაწერილი, ჩვენ ვხვდებით მთელი რიგი ქართველი ადამიანების ხსენებას. ასე, მაგალითად, 1903 წლის 2 დეკემბრის წერილში, რომელიც თბილისიდან არის გაგზავნილი, ლესია უკრაინკა ახსენებს „მუსიკოს — ეთნოგრაფს ფალიევს“. ექვსი არაა, რომ აქ ლაპარაკია ახალგაზრდა ზაქარია ფალიაშვილზე, რომელიც ცხრა-ხუთი წლებში მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და იწერდა ხალხურ სიმღერებს. ლესიას წერილში უფრო ხშირადაა ხსენება შიო ჩიტაძისა.

1905 წლის რევოლუციის დროს შ. ჩიტაძე მოსწავლეთა შორის აღვივებდა რევოლუციურ განწყობილებას. ეს გარემოება კარგადაა გამოხატული, სხვათა შორის, ლესია უკრაინკას წერილში დედისადმი (1905 წ. 6 თებერვალი): „აქ იყო მღელვარება ყველა საშუალო სკოლაში, მათ შორის ქალთა სკოლაშიც, — წერს ლესია დედისადმი თბილისიდან, — ვსთა გიმნაზიებში მოეწყო კრებები, (მოსწავლეები) ამტკრევენ ფანჯრებს, მიაღწიეს რამდენიმე მასწავლებლისა და ერთი დირექტორის მოხსნას.“

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების დასახსიათებლად საგულისხმოა მეორე ადგილი იმავე წერილიდან: „შემოდგომაზე დაწყებული მოთხრობა... ჯერ კიდევ არ დამთავრებია, რადგან ჩემი გონება ვერ იცლის ასეთი მშვიდი თემებისათვის „გაზაფხულისა“ და „ზამთრის“ ყოველდღიური ცვლის გამო, თბილისშიაც იყო ერთი ასეთი „გაზაფხულისა“ დღე, როდესაც ადამიანის ხისხლის ტბორები სადამომდეგ იდგა ქვაფენილებზე. ასეთ ვითარებაში მშვიდი თემებისაკენ გული არ მიმიწევს.“

რევოლუციური სიტუაცია საქართველოში უფრო მკაფიოდ იგრძნობა იმავე 1905 წლის 22 მარტს დედისადმი მიწერილ ბარათში: „გურიაში აჯანყება ფართოდება და ვრცელდება, — წერს ლესია, — წინათ ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ახლა კი სასამართლოსაც შეეხენ (სურთ არჩეული მოსამართლეები და ადგილობრივი ენის შემოღება სასამართლოში)“.

ასეთი ასახვა ჰქონდა საქართველოს რევოლუციურმა ამბებმა ლესია უკრაინკას პირად წერილებში. მისი სიმბატია, ცხადია, ქართული რევოლუციური მშრომელების და პროგრესული ინტელიგენციის მხარეზე იყო.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები ლესიამ უმეტეს წილად საქართველოში გაატარა. ის, თავის მეუღლე კლემენტი კვიციანთან ერთად, ხანგრძლივად ცხოვრობდა თელავსა, ხონსა და ქუთაისში. იგი თითქმის ინკლინირებულად ცხოვრობდა საქართველოში; ბუნებრივი მორიდებულობით იგი ძალიან ცოტას უმხელდა თავის დიდ პოეტურ სახელს და საპატიო მდგომარეობას მშობლიური ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლესიას მცნობ პირთა მოგონებებში რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ლაპარაკია უმთავრესად მის ყოფაცხოვრების ამბებზე. ეს მოგონებები უმთავრესად შეეხებიან ლესიას ცხოვრების თელავის პერიოდს და, როგორც ახალი მასალა, ინტერესს შეიცავს პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთი უცნობი მომენტის გასაშუქებლად, მაგრამ ახლა სიტყვა დაუთმობთ თვით ამ მოგონებათა ავტორებს*. პირველი მათგანი ეკუთვნის თელავის მცხოვრებს, ადგილობრივ კულტურულ მოღვაწეს, ქართული გაზეთების ძველ კორესპონდენტს ვანო პაატაშვილს:

„1908 წელს თელავში მომრიგებელ მოსამართლედ გადმოიყვანეს ვინმე უკრაინელი, გვარად კვიციანი, — წერს თავის მოგონებაში ვანო პაატაშვილი, — კვიციანს მეუღლე იყო პოეტი ქალი ლესია უკრაინკა, — ეს მაშინ თელავში თითქმის არავინ იცნობდა.“

კვიციანი არა მხოლოდ მეფის სხვა ბიუროკრატ მოხელეს, იგი მეტად კეთილშობილი, სადა და მიმზიდველი ადამიანი იყო.

კვიციანს თელავში მხოლოდ მცირე ხანს მოუხდა ცხოვრება, ამიტომ ისეთი მასობრივი ურთიერთობა არა გვექონდა, მხოლოდ ვიცნობდით კი ერთმანეთს.



ლესია უკრაინკა (ბრინჯაო) მოქანდაკე თამარ აბაკელია

კვიციანი, როგორც მომრიგებელი მოსამართლე, დღისით უმომინარე საქმიე-ბით იყო დატვირთული; ერთხელ მთხოვა, საღამოთი შემოიარეთ ჩემთან სახლში და გულდინჯად გავცნოთ მასალეხსო. დანიშნულ დროს მივედი მასთან ბინაზე. თელავში ის ცხოვრობდა ახლანდელ კამოს ქუჩაზე, სადაც ამჟამად საბავშვო საავადმყოფოა. მალა სართულში ეკავა 5 ოთახი.

ჩაის დრო იყო.

ჯერ ჩაი დავლიეთ და მერე საქმეს შეუდგეთ, — მოთხრა კვიციანი და სახალი ოთახში მიმიწვია. იქ მაგიდას უჯდა მისი მეუღლე და აგრეთვე მოხუცებული დედა. — გაიცანით ლარისა ბეტროვნი, — მომართა კვიციანი.

ჩემს წინ იდგა მაღალ-მაღალი შუაწინის ქალი. მაშინ ის იქნებოდა 37 წლისა. გამხდარი იყო, ფერმკრთალი და მხრებში ოდნე მობრლი. მას საშინაო კაბა ეცვა და შალი ეხვია (გაზაფხულის გრილი საღამო იყო). ჩემი პირველი შთაბეჭდილებით იმ ქალს ძლიერი მიმზიდველობა და უბრალოება ახასიათებდა. მან საუბარი დამიწყო: ჯერ ჩემი ვინაობა გამომკითხა, მერე მიამბო, რომ საქართველოში 3-4 წელიწადია რაც ჩამოვედი ზაქარის გულისათვის, ჯერ თბილისში ვცხოვრობდი, მერე თელავში გამოამწვსეს ჩემი ქმარი; კმაყოფილი ვარ კახეთის ბუნებით. საქართველო ისე შემეყვარა, როგორც ჩემი სამშობლო უკრაინა — (მაშინ გავფიქრე, რომ უკრაინელი ყოფილიყოს), ალანის ველის თვალწარმტაც ბუნებას რომ ვუყურებ, დნებრის ნაპირები მაგონდება და ხშირად გავცქერხი ხოლმე აივნიდან კავკასიონის მომხიბლავ, თოვლით შემკულ მთებსო. მართლაც, აივანზე საწერი მაგიდა ედგა სავარძლით და მომეტებულ დროს დარწმინდა აქ ატარებდა თურმე და მუშაობაში იყო გართული. როდესაც ვსაუბრობდით, მე უბრალო თავაზიანი დიასახლისი მეგონა, რომელიც, მაღალ საწოლაზეა მიღებული ჩვეულებისამებრ, საუბრით ართობდა სტუმარს; ის კი არ ვიცოდი, რომ იგი იყო დიდბუნებოვანი პიროვნება, სამშობლოდან მისივე სახლიდან გამსჭვალული, ტარას შევჩენკოს იდეების მატარებელი გამაჩენილი პოეტი ქალი.

ჩვენი საუბარი გაგრძელდა, ვიდრე ჩაის გავათავებდით. მერე მადლობა გადავუხადე და კვიციანთან ერთად გავვედი მეორე ოთახში საშუალოდ.

არანაკლებ საინტერესოა მეორე მოგონება ლესია უკრაინკას თელაველი სახლის პატრონის, სუსანა იარალოვისა. მოგვყავს ეს მოგონებაც მცირე შემოკლებით:

„ლარისა ბეტროვნი ჩვენს სახლში ცხოვრობდა თავისი ქმრით და [დედამთილით და შვიკვდათ მოსამსახურე ქალი ნატაშა. (35 წლისა, ვგონებ ყოფილი მოლოზანი).“


ქმარი კვიციანი მოსამართლედ იყო თელავში. ლარისა ბეტროვნი მეტად სუსტი ქალი იყო, მაღალი, ქერა. კარგად მახსოვს მისი მიზნედილი, კეთილი სახე. მიუხედავად ავადმყოფობისა, იგი სულ ერთთავად წიგნების კითხვასა და წერას ანდომებდა დროს. ჩვენს მოსამსახურე ნიკოს პატარა ბავშვი ჰყავდა ლარისას ეს ბავშვი ძალიან უყვარდა და ხშირად ეალერსებოდა.

ერთხელ აღდგომას პასუხ ერთად გამოვაცხვეთ და ლარისამ მე მომილოცა იშვიათი ხელოვნებით ნაქარგი უკრაინული პირსახოცი. შემდეგ ისე დაუმეგობრდით მათ, რომ ჩემი ძმა, ადვოკატი მარტინი, ხშირად პატიუბოდა ცოლ-ქმარს სადილად და ვახშმად და ერთად ვატარებდით ხოლმე დროს. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი დღისის არ სვამდა.

ჩვენ მათ ხშირად შევუგზავნიდით ხილს ან ბოთლით დღისის; ლარისა

5073

* მოგონებები ჩაწერილია თელავში აშ. ირ. ხმალაძის მიერ.



მზის ქაბუნელები

სის მოთვალთვალენი

რამზე ბართია წლების განმავლობაში უფალ-
თვალედა მოწმენდილ ცას აბასთუმნის ოხსერვა-
ტორიის ტელესკოპიდან.

მეცნიერი ქალის დიდიხნის დაკვირვებამ შედეგი
გამოიღო—მან აღმოაჩინა ახალი ვარსკვლავი, რო-
შელსაც მისი სახელი „რამზე“ უწოდეს.

ბართიამ ამ აღმოჩენას მეტად ორიგინალური
მეთოდით — ვარსკვლავის სპექტრის შესწავლის სა-
შუალებით მიადგინა. ახლა იგი ორი წლის განმავ-
ლობაში დაგროვილ მასალას ამუშავებს და ამზა-
დებს შრომას ამ ვარსკვლავის ფიზიკური და ქიმი-
ური თვისებების აღწერით.

* *

აბასთუმნის ოხსერვატორიის მეცნიერი თანა-
შრომელი თინა რაზმაძე, სპეციალურად მზის ატ-
მოსფეროს მოვლენებს სწავლობს. ამ მოვლენების
შესწავლას, მეცნიერულ-თეორიულ მნიშვნელობას-
თან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.
რაზმაძე განსაკუთრებით დაინტერესდება მზის ხან-
მოკლე ამოფრქვევებში, რაც უშუალო გავლენას
ახდენს დედამიწაზე მიმდინარე პროცესებზე.

ახალგაზრდა მეცნიერმა 15 წლის დაკვირვებებით
შობოვეთული მასალის ანალიზი ჩაატარა და სრუ-
ლიად ახალი კანონზომიერებები აღმოაჩინა მზის
მოვლენების განვითარებაში.

თინა რაზმაძემ ამ ნიადაგზე საფუძვლიანად გააკ-
რიტიკა შვეიცარიელი ასტრონომების მიერ მიღე-
ბული შედეგები.

ეს შრომა მან სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებ-
ლად ხარკოვის ასტრონომიულ ინსტიტუტში წა-
რადგინა. დიხერტაციამ ბრწყინვალე შეფასება
მიიღო.


ფოტოზე—რამზე ბართია

რატომ ხდება მზის დაბნელება

ცნობილია, რომ დედამიწა და მთვარე წარმოად-
გენენ გაცივებულ, საკუთარ სინათლეს მოკლებულ
ციურ სხეულებს, რომელთაც ანათებს მზე. ამიტომ,
როცა დედამიწის გარშემო თავისი მოძრაობის დროს
მთვარე მოხვდება მზესა და დედამიწას შორის, მთვა-
რის ჩრდილი ეცემა დედამიწის ზედაპირზე და თა-
ნამიმდევრობით ჩრდილავს ხან ერთ, ხან მეორე მის
ნაწილს. საშუალო მანძილი დედამიწიდან მზემდე
დაახლოებით 150 მილიონი კილომეტრია, საშუალო
მანძილი დედამიწიდან მთვარემდე კი — 384 ათას
კმ. ამრიგად, მზე ჩვენგან 400-ჯერ უფრო შორსაა,
ვიდრე მთვარე. მეორეს მხრივ, მზის განივი 400-ჯერ
მეტია მთვარის განივზე. ამ თანაფარდობათა შემე-
თხვევითი ტოლობიდან გამომდის, რომ მზისა და
მთვარის განივების ხილული კუთხური ზომები დაახ-
ლოებით ერთმანეთის ტოლი არიან, და 1/20 შეად-
გენენ. ვინაიდან დედამიწა მზის გარშემო და მთვა-
რე დედამიწის გარშემო ელიბსით მოძრაობენ, ამი-
ტომ მზისა და მთვარის ხილული კუთხური ზომები
ოდნავ იცვლებიან ამა თუ იმ მიმართულებით. ამის
გამო შესაძლებელი ხდება მზის დასუარვა მთვარის
დისკოთი ნაწილობრივ, ან კიდევ სრულად.

მზის დაბნელების სქემა

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.
წარმოვიდგინოთ კონუსი, რომელშიც მოქცეულია მზე
და მთვარე. ამ კონუსის ნაწილში, მთვარეიდან კონუ-
სის წვერამდე, იმყოფება მთვარის ჩრდილი. მზის
დაბნელების დროს ეს კონუსი თავისი წვერით მიმარ-
თულია დედამიწისაკენ; ამიტომ მთვარის ჩრდილი



მზის დაბნელების სქემა

ეცემა დედამიწაზე და ჰქმნის მასზე ლაქას (a), რო-
მელიც არაა განათებული მზის პირდაპირი სხივებით
აქედან დაშვებულს დაბნელება ეჩვენება მზის
სრულ დაბნელებად, რადგან მზე მისგან დაფარუ-
ლია მთლიანად. მაგრამ დედამიწაზე ეცემა არა მარ-
ტო სრული ჩრდილი, არამედ ნახევარჩრდილიც (AA₁)
ამ ნახევარჩრდილის შიგნით მზე მხოლოდ ნაწილობ-
რივ არის დაფარული მთვარით, ამასთანავე, დაუფარ-
ავი ნაწილი მზის დისკოსი მით უფრო მეტია, რაც
უფრო შორს იმყოფება დამკვირვებელი მთვარის სრულ
ჩრდილისაგან. გარკვეულ მანძილზე სრული ჩრდი-
ლისაგან (AA₁ ხაზს გარეთ) ჩვენ უკვე ვეღარ ვხე-
დავთ დაბნელებას. ნახევარჩრდილის შიგნით ჩვენ
გვაქვს მზის ნაწილობრივი დაბნელება. სუ-
რათზე გამოსახულია მზის დაბნელების სხვადასხვა
ფაზები. ცენტრში მოცემულია სრული დაბნელების
სურათი, როცა მზე მთლიანად იფარება მთვარის დის-
კოთი. ამ დროს მზის გარშემო ჩნდება ვერცხლისებრ-
მარგალიტისებრი ელვარება — მზის გვირგვინი.

მთვარის ჩრდილის სიღრმე და მზის დაბნელების ხანგრძლიობა

მთვარის ჩრდილი დედამიწის ზედაპირზე მომცრო
ლაქას ჰქმნის, რომლის განივი 270 კმ. არ აღემატე-
ბა. მთვარის ნახევარჩრდილი კი უზარმაზარია—მისი
განივი 6-7 ათას კმ. აღწევს. ვინაიდან მთვარე დე-
დამიწის გარშემო დაახლოებით 1 კმ/სეკ. სიჩქარით
მოძრაობს, ამიტომ მთვარის ჩრდილი დედამიწის ზე-
დაპირზე უზარმაზარი სისწრაფით მოძრაობს და ვიწ-
რო, მაგრამ ძალიან გრძელ, 10-12 ათას კმ. ზოლს
მონახავს.

მზის სრული დაბნელება დედამიწის რომელიმე
ერთ ბუნქტში გრძელდება
ჩვეულებრივ 2-3 წუთს, იშვია-
თად 5-8 წუთს. მზის სრული
დაბნელების ხანგრძლიობა
კი მთელი დედამიწისათვის.
ე. ი. დრო, რომლის განმავ-
ლობაში მთვარის ჩრდილი გა-
დაირბენს დედამიწის ზედა-
პირზე, 2-3 საათს უდრის. რაც
შეეხება მზის ნაწილობრივ
დაბნელებას, ერთი და იმავე

გვეტყოდა ხოლმე, რად სწუხდებით, ჩვენ ერთი ბოთლი ღვინო მთელ კვირას
გვეყოფნისო.

ლარისა პეტროვან ძალიან ერიდებოდა ზედმეტ მოძრაობას და სიარულს,
უმეტეს წილად აივანზე საგარეულში იწვა და იღებდა მზის აბაზანებს, წერდა
და კითხულობდა.

ლესია ძალიან უბრალოდ იცვამდა, ხშირად ატარებდა ყავისფერ კაბას.
ერთხელ შემოდგომაზე ჩვენ გავემზადენით რთვულში წასასვლელად. დავ-
ტვირთეთ ბარგი-ბარხნი ურემი. ლოგინიც კი წავიდეთ, ვთხოვეთ ლარისასაც,
მაგრამ მან სიცლით გვიბასუხა: თქვენ ისე ემზადებით, რომ კაცი იფიქრებს,
ჩრდილოეთ პოლუსზე მიდისართო.

მანსოვს, როგორ გაემგზავრა ლარისა პეტროვან საზღვარ-გარეთ (ეგვიპტე-
ში) სამკურნალოდ. —ასეთია თელავის მოგონებანი უკრაინის დიდებულ პოეტ
ქალზე. თელავის შემდეგ ლესია უკრაინკა ცხოვრობდა ქუთაისში.

ქუთაისში ლესია ცხოვრობდა ყოფილ ჯაიანის შესახვევში, ჩხეიძის სახლში
(არსებობს ცნობა, რომ ლესიას ყოფილ ბაღსაგანის ქუჩაზედაც უცხოვრია).

ქუთაისში ლესიას თანდათან გაუჩინია ნაცნობ-მეგობრები. იგი ახლა ურთი-
ერთობაში ყოფილა ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთ მოწინავე წარმო-
მადგენლებთან, მათ შორის, ცნობილ ლიტერატორ და პედაგოგ სილოვან
ხუნდაძესთან (1860-1928).

სილოვან ხუნდაძის ოჯახის წევრები ადასტურებენ, რომ ლესია უკრაინკა
ქუთაისში ცხოვრების დროს არა ერთხელ ყოფილა სტუმრად მათს ოჯახში.
ს. ხუნდაძე, მისი მეუღლის სიტყვით, ქართულ ენას ასწავლიდა ლესიას; რო-
დესაც ლესია ავადმყოფობის გამო ლოგინიდან ვეღარ დგებოდა, ს. ხუნდაძე
თვითონ დაიარებოდა თურმე მასთან ბინაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ სილოვან
ხუნდაძე ერთი იმ ქართველ ლიტერატორთაგანი იყო, ვისაც ლესია, საქარ-
თველობაში ყოფნის დროს, უზიარებდა თავის ფიქრებს, შემოქმედებითს გეგ-
მებს. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ სილოვან ხუნდაძემ ბევრი რამ იცოდა
ლესია უკრაინკას ლიტერატურული მუშაობის შესახებ, კერძოდ იცოდა ის

ამბავი, რომ ლესიამ ხონსა და ქუთაისში ყოფნის დროს, 1911-12 წლებში
დასწერა თვალსაჩინო პოეტური ნაწარმოები „ტყის სიმღერა“ და „ქვის ბა-
ტონი“.

ლესიას სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია ქართულ მოწინავე საზო-
გადოებაში. ქართველი მშრომლები და ინტელიგენციის სულსკვეთება საუ-
კეთესოდ არის გამოსატული იმ ნეკროლოგებში, რომელიც ქართული გაზეთების,
ფურცლებზე გამოქვეყნდა იმ დღეებში.

ძალიან საგულისხმოა, რომ მიუხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა,
ქართულ პრესაში მაინც გამოქვეყნდა ცნობა იმ დემონსტრაციის შესახებ,
რომელიც მოეწყო კიევში ლესია უკრაინკას დასაფლავების დროს.

ქუთაისის გაზეთ „იმერეთში“ (სილოვან ხუნდაძე ერთი უახლოესი თანამ-
შრომელი იყო ამ ორგანიზაციის) 1913 წლის 4 აპრილის № 117-ში, ქრონიკაში,
რომელსაც სათაურად აქვს „ლესია უკრაინკას დასაფლავება“, ვკითხულობთ:
„ლესია უკრაინკა დიდი ამბავით დასაფლავდა. კიევის სადგურზე, სადაც
უნდა მოესვენებიათ მისი გვამი, ბევრი ხალხი დახვდა, იყო დელეგატები გა-
ლიციიდან, ადესიდან, ეკატერინოსლავიდან, ბაქოიდან, ჩერნიგოვიდან, პოლტა-
ვიდან, უმანიდან და სხვა ქალაქებიდან. დასაფლავებას დღესწრა უკრაინის
ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. იყო 30 გვირგვინი. გვირგვინებს წი-
თული ლენტები წარწერებით პოლიციელმა მოაცილა“.

ლესია უკრაინკას ნაწარმოებნი ქართველი ხალხისათვის ფართოდ ცნობილი
შეიქმნა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ-
ამჟამად მოწინავე ქართველი პოეტების მიერ თარგმნილია თითქმის ყველა
მნიშვნელოვანი ნაწარმოები უკრაინული პოეტი ქალისა; მიმდინარე წელს
მეორედ გამოიცა მის რჩეულ ნაწარმოებთა ერთგომეული.

და თუ სიცოცხლეში ლესიას მეგობარი იყო მხოლოდ ორიოდე ქართველი,
მოწინავე ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე, ამჟამად მთელი საბჭოთა
ქართველი ხალხი გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემითაა გამსჭვალ-
ული დიდი პოეტი ქალისადმი.

ადგილიდან მისი დაკვირვება ჩვეულებრივ შესაძლებელი ხდება დაახლოებით ორი საათის განმავლობაში.

მზის დაბნელების წინასწარი გამოანგარიშება

იმის შესტად გამოსანგარიშებლად, თუ როდის და სად უნდა მოხდეს მზის დაბნელება, საჭირო ხდება მეტემეტად საუბარო და შრომატევადი გამოანგარიშების ჩატარება. დაბნელებათა თეორიის ცნობილი რუსი სპეციალისტი ა. ა. მიხაილოვი შემდეგნაირად გვიხანსათებს ამ შრომას: „საკმარისია ითქვას, რომ 1945 წლის 9 ივლისის დაბნელების დაწვრილებითი წინასწარმეტყველებისათვის, მხოლოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში, ჩვენ დაგვირდა ორასი გვერდი აგვეკო წვრილ-წვრილად დაწერილი ცფრებით, რომელთა რიცხვი 300 ათასს აღემატებოდა. სამაგიეროდ ჩვენთვის ცნობილი შეიქნა, თუ სად, როდის და როგორ შეიძლებოდა ამ დაბნელების დაკვირვება“.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ მზის დაბნელების თანამედროვე თეორიას ძალუმს გასაოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველოს მზის დაბნელების მოვლენა. თუმცა ადგილი აქვს ზოგჯერ 2-5 წამში განსხვავებას გამოანგარიშებით მიღებულ დროსა და დაბნელების დაწყების მომენტს შორის, მაგრამ ეს სხვაობა თეორიას კი არ მიეწერება, არამედ ობიექტურ ფაქტორებს, — რომელიღაც, ჯერჯერობით გამოუკვლეველ გეოფიზიკურ მოვლენებს.

ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმ დროს ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ბუნებაში არსებობს, და ადასტურებს მარქსისტული დიალექტიკის დებულებას, რომ ჭეშმარიტების შეცნობა შეიძლება არა მარტომ, როცა მოვლენა იზოლირებულად განიხილება, არამედ მაშინ, როცა ის მთელ-გარემოსთან ურთიერთკავშირში შეისწავლება.

მზის დაბნელებასთან დაკავშირებული ცრუმორფოზუნობანი

ძველად მზის დაბნელება შიშს ჰგვრიდა ცრუმორფუნე ადამიანს. ზოგ ხალხს ჰქონდა რწმენა, რომ თითქმის გველეშაბი ლამობდა მზის მოტაცებას და მის გადაყლაპვას, ზოგს კი ეგონა, რომ მზის დაბნელებაში ავსულებს ურევიათ ხელი. ამიტომ ადამიანს ძველად თავზარი ეცემოდა მზის დაბნელების დროს და მნათობის დასასწნელად სტეხდნენ ხმაურს, სცემდნენ ყივიანს, აბრახუნებდნენ დაფაფებებს, დარბებდნენ და სხვ.

განუთლებელი ადამიანი თვლიდა, რომ დაბნელება ღვთის რისხვა იყო და ქვეყნიერების აღსასრულს, მსოფლიო წარღვნას ან რაიმე სხვა უბედურებას მოასწავებდა.

ექსპლოატატორული კლასები ყოველთვის სწამლავდნენ და სწამლავენ მშრომელთა ცნობიერებას ათასგვარი ცრუმრწმენით. ხალხის ცრუმორწმუნეობა ხელსაყრელია ექსპლოატატორებისათვის და მათ არა ერთხელ გამოუყენებიათ ეს თავისი მიზნებისათვის.

მაგრამ განა მართო შორეულ წარსულში ეშინოდა ადამიანს მზის დაბნელების!

თურქეთში 1877 წელს მზის დაბნელებით დაფეთებულმა მოსახლეობამ თოფის სროლა აუტყნა მზეს.

1867 წლის 6 მარტის მზის დაბნელების დროს პარიზულ მოსწავლეებს უბრძანეს ელოცათ, რომ ღმერთს ესხნა მზე დაღუბვისაკენ.

1887 წელს 19 აგვისტოს მზის დაბნელების დროს ასეთივე სურათი იხილა რუსმა მწერალმა ვ. გ. კოროლენკომ ვოლგისპირა ქალაქ იურიევცში. მოსახლეობაში გავრცელდა ხმა, რომ მოხდებოდა მიწისძვრა, ადამიანები ერთმანეთს ვეღარ იცნობდნენ... და ქვეყანაც დაიღუბებოდა.

მაგრამ აი, მას აქეთ გავიდა რამდენიმე ათეული წელი და ყოფილი მეფის რუსეთი საბჭოთა რუსეთად, თავისუფალ, კომუნისტურ მიმავალ ქვეყნად იქცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები ძველისძველი ცრუ აზრისა და ათასგვარი ცრუმორწმუნეობის გადაწმინდვის დაძლევის პროცესში დარწმუნდნენ, რომ არ არსებობს არავითარი უზუნაესი, არამექვეყნიური ძალა, არავითარი სასწაული. რაღა უნდა დარჩეს „სასწაულებრივი“, მაგალითად, მზის დაბნელებაში, როცა მეცნიერებას შეუძლია წინასწარ გამოიანგარიშოს და იწინასწარმეტყველოს დაბნელების დღე, საათი, წუთი, და წამი, ადგილი და ფაზები?

საბჭოთა ქვეყანაში საბოლოოდ იმსხრევა ცრუმორწმუნეობის უკანასკნელი ნაშთებიც, საბჭოთა ხალხმა იცის ნამდვილი მიზეზები ყოველივე იმისა, რაც ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაში ხდება.

ფეხბურთის სეზონისათვის

ჩვენი გუნდი 1952 წლის სეზონისათვის მზადაა დადებულ წრთვას 11 თებერვლიდან შეუდგება ჩატარებულ იქნა რამდენიმე მეცადინეობა ტიპურ მურებზე ბაკურიანში. 22 თებერვლიდან მატარებულ ჩატარდა მეცადინეობა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. 6 მარტიდან კი გუნდი იმყოფება ქ. ოჩამ-ჩირეში, სადაც დარჩება აპრილის შუა რიცხვებამდე და ჩაატარებს რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას. დიდი ყურადღება ექცევა საერთო ფიზიკურ მომზადებას, ფეხბურთის ტექნიკური ელემენტებისა და ტაქტიკური კომბინაციების გაუმჯობესებას. გუნდის მწრთენელები კვლავ სპორტის დამსახურებული ოსტატები არიან. იაკუშინი და მინაევი არიან თბილისის „დინამოს“ შემადგენლობას შეემატნენ ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები: გოგლიძე, გაგნიძე, კ. კალაგვი, ნორაკიძე, კოტრიკაძე და მეკარე ქარჩავა.




საკავშირო ფიზკულტურული კომიტეტის დადგენილებით, აპრილის თვიდან დაიწყება ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში. პირველი ჯგუფის ოსტატთა გუნდები დაყოფილია ოთხ ზონად: თბილისის, ბაქოს, კიევის და ხარკოვის ზონებად. ჩვენს ზონაშია: 1. ვ. ვ. ს.; 2. ლენინგრადის „წენიტი“; 3. მოსკოვის I ნაკრები გუნდი; 4. მოსკოვის II ნაკრები გუნდი; 5. თბილისის „დინამო“; ბაქოს ზონაშია: 1. სტალინის „შახთიორი“; 2. მოსკოვის „სპარტაკი“; 3. რიავს „დაუგავა“; 4. მინსკის „დინამო“. კიევის ზონაშია: 1. „ც დ ს ა“; 2. ლენინგრადის „დინამო“; 3. კიევის „დინამო“; 4. მოსკოვის „ლოკომოტივი“. ხარკოვის ზონაშია: 1. კუბინევიცის „კრილია სოვეტოვი“; 2. მოსკოვის „დინამო“; 3. მოსკოვის „ტორპედო“ და 4. ქალაქ კალინინის ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდი.

ის გუნდები, რომლებიც თავიანთ ზონებში I და II ადგილებს დაიკავებენ, ე. ი. სულ რვა გუნდი, ერთმანეთს შეხვედბა მოსკოვში, სადაც უნდა გათამაშდეს სეზონის გახსნის ჯილდო. I და II ნაკრები გუნდი ჯილდოს გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ კონკურსის გარეშე. ჯილდოს გათამაშების დამთავრების შემდეგ ჩატარდება საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში I ჯგუფის 15 გუნდის მონაწილეობით. შეჯიბრება ჩატარდება ერთ წრედ ყველა შეხვედრა შედგება მოსკოვში.

ჩვენი ვალია მომავალშიც კიდევ უკეთ დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული პრესტიჟი.

ა. ლოღობაძე

გუნდის კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.




მზის დაბნელების ფაზები. ცენტრში—სრული დაბნელება.

ძირითადად ეს მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ დედამიწისა და მთვარის მოძრაობის შესტი მონაცემების მიხედვით ხდება მთვარის ჩრდილის სივრცეში მოძრაობის გამოანგარიშება. შემდეგ, განისაზღვრება მომენტი და ის ადგილი, სადაც მთვარის ნახევარჩრდილი და მერე სრული ჩრდილიც მოეფინება დედამიწის ზედაპირს, ამის შემდეგ კი დაწვრილებით შეისწავლება ის გზა, რომლითაც გადაადგილდება ჩრდილი და მისი თანხლები ნახევარჩრდილი იმ მომენტამდე, ვიდრე ისინი დედამიწას არ მოსცილდებიან. ამ გამოანგარიშებათა საფუძველზე დგება რუკა, რომელზეც აღინიშნება მთვარის ჩრდილის მოძრაობის ზოლი და ნახევარჩრდილის არე.

მზის დაბნელება ყოველ წელს იწადს ხდება არა ნაკლები ორისა და არა უმეტესი ხუთისა. მზის დაბნელება ხდება მხოლოდ ახალი მთვარის პერიოდებში, რადგან სწორედ ამ დროს მთვარე დგება მზესა და დედამიწას შორის. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის დაბნელება ხდება ყოველთვის, როგორც კი ახალი მთვარე დადგება.

გარდა ამისა, ყოველ 18 წელს იწადს და 11 დღეში ხდება მზის სრული დაბნელების განმეორება, მაგრამ იმავე რაიონში კი არა, არამედ წინა დაბნელების რაიონიდან დასავლეთით 120° დაშორებულ ქვეყნებში, ხოლო დაახლოებით იმავე რაიონში მხოლოდ 54 წლისა და 34 დღის შემდეგ მეორდება. ამის საილუსტრაციოდ დავასახელოთ მზის სრული დაბნელებანი, რომლებიც მოხდა 1916 წლის 3 თებერვალს, 1934 წლის 14 თებერვალს, 1952 წლის 25 თებერვალს, შემდეგ მზის სრული დაბნელებანი, რომლებიც მოხდება 1970 წლის 7 მარტს, 1988 წლის 18 მარტს და ა. შ. კერძოდ, 1952 წლის 25 თებერვლის მზის სრული დაბნელების დროს მთვარის ჩრდილმა გადაუარა დედამიწის ზედაპირს ატლანტიკის ოკეანიდან, დაწყებული აფრიკაზე, არაბეთზე, ირანსა და საბჭოთა კავშირის აზიის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილზე გავლით, მიუახლოვდა ბაიკალის ტბას, აქ მოწყდა დედამიწას და სამყაროს სივრცეში გაიტყორცნა. დაახლოებით ამავე რაიონში განმეორდება მზის დაბნელება 2006 წლის 29 მარტს და ა. შ. დროის იმ პერიოდს, რომლის გავლის შემდეგ მეორდება მზის დაბნელება, ჯერ კიდევ უძველეს დროში საროსი ეწოდებოდა.



1952 წლის 25 თებერვლის მზის დაბნელების უდიდესი ფაზა საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

გოეთე



გერმანიის უდიდესი პოეტი იოჰან ვოლფგანგ გოეთე დაიბადა 1749 წ. მაინის ფრანკფურტში შექმნილი ბიურგერის ოჯახში. სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე ლაიპციგსა და სტრასბურგში. თავის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებში გოეთემ ასახა XVIII საუკ. დასასრულისა და XIX საუკ. დასაწყისის გერმანიის ბიურგერობა.

1774 წელს გოეთემ დაწერა „ახალგაზრდა ვერტერის ენებანი“, ეს რომანი აშკარად გამოხატავდა „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქის მოწინავე განწყობილებებს და მან ავტორის მსოფლიო სახელი მოუხვეჭა.

გოეთეს ამ პერიოდის ლირიკა დიდი უშუალობითა და ფორმის სიმარტივით გამოირჩევა, რაც მას ხალხურ სიმღერებთან აახლოებს.

გოეთეს გენიალური ქმნილება „ფაუსტი“ ფილოსოფიური ტრაგედიაა. მასში გამოხატულია მთელი ეპოქის ფილოსოფიური ფიქრები, ეჭვები, უნდობლობა და მისწრაფებანი. ფაუსტი დიდხანს ეძებდა ცხოვრების მიზანს, ბოლოს მაინც იპოვა, ეს— შრომაა, ადამიანის ცხოვრების ცოცხალი პრაქტიკა. ტყუილად კი არ ამბობდა ბისმარკი, რომ გოეთეს „ფაუსტში“ ისეთი საშიში იდეებია, როგორსაც ამ ბოლო დროს სოციალისტები ქადაგებენო.

1775 წელს გოეთე ახალგაზრდა პერცოკის მიწვევით ვეიმარში გადასახლდებოდა და მიწინასწარ დასაწყობდა მის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებს შორის მისი პირველი, აუღელვებელი პიროვნების იდეალის ქადაგება.

გოეთე მრავალმხრივი ადამიანი იყო — პოეტი, მოაზროვნე, ხელოვნების მცოდნე, პრაქტიკული მოღვაწე. შესანიშნავი მეცნიერი.

გოეთე გარდაიცვალა 120 წლის წინათ, 1832 წლის 22 მარტს.

ბეთოვენო



ლუდვიგ ვან ბეთოვენე, გენიალური გერმანელი კომპოზიტორი, დაიბადა 1770 წ. ქ. ბონში მუსიკოსის ოჯახში. მისი ცხოვრების ბედი ტრაგიკული იყო.

ბეთოვენე უდიდესი წარმომადგენელია ინსტრუმენტალური მუსიკისა, რომელიც მან განავითარა და უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. ბეთოვენის ოპტიმიზმი, რევოლუციური პათოსი, ტიტანური მისწრაფებანი, ღრმა რწმენა, რომ ადამიანი ბუნებით კეთილია და ქვეყანაზე საყოველთაო ძმობა და თავისუფლება გაიმარჯვებს— მისი შემოქმედებითი ენერჯის ძირითადი წყარო იყო. ბეთოვენე პირველი მუსიკოსია, რომლის შემოქმედებამ გამსჭვალულია სოციალური პათოსით. ამაშია მისი მუსიკის სიდიადე, რომელიც ხშირად და აჯადოებს ადამიანს, განსაკუთრებით სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში მისმა ცხრა სიმფონიამ, რომლებიც ამა თუ იმ მნიშვნელოვან მუსიკალურ-პოეტურ იდეას გამოხატავენ. ბეთოვენის ორკესტრი არაჩვეულებრივ მეტყველი და ელვადია. იგი თავის მუსიკაში ხშირად უბრალო ხალხურ სიმღერებს მიმართავს. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მისი მეცხრე სიმფონიის ფინალისთვის დაწერილი „სინარულის თემა“.

ბეთოვენის შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა XIX საუკ. მთელი შემდგომი სიმფონიური და კამერული მუსიკის განვითარებაზე.

ბეთოვენე თავისი დროის ერთ-ერთი შესანიშნავი ბიანსტი და გასაოცარი იმპროვიზატორიც იყო. ბეთოვენე გარდაიცვალა 125 წლის წინათ, 1827 წლის 26 მარტს.

ნიუტონი



უდიდესი ინგლისელი მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი ისაკ ნიუტონი დაიბადა 1643 წელს. განუზომელია ნიუტონის ღვაწლი მათემატიკურ მეცნიერებაში. მისი ნაშრომებიდან მეცნიერების ასტრონომიაში პირველი ადგილი უსასრულო მცირეთა ანალიზს უკუიარსებს, რომელიც მას წარმოდგენილი ჰქონდა ფლუქციების მეთოდის სახით. ამ ფლუქციების აღმოჩენა მჭიდრო კავშირში იყო ნიუტონის სხვა მათემატიკურ ნაშრომებთან და, უპირველეს ყოვლისა, იმ ნაშრომებთან, რომლებიც ეხებოდა ბინომის ხარისხის დაშლას წილადსა და უარყოფითი მაჩვენებლის შემთხვევაში.

ფიზიკის დარგში ნიუტონის მუშაობა ეხება მექანიკასა და ოპტიკას. მექანიკაში ნიუტონმა დაადგინა მოძრაობის ძირითადი კანონები, რომლებიც მის სახელს ატარებენ. ეს კანონები საფუძვლად დაედო კლასიკური მექანიკის მთელ შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ნიუტონის მიერ სულ რამდენიმე სიტყვით ფორმულირებულ მსოფლიო მიზიდულობის კანონს, რომელმაც მთელი გალატრიალება მოახდინა ასტრონომიასა და ფიზიკაში.

არანაკლები მნიშვნელობისაა „ნიუტონის ნამუშევარი ოპტიკის დარგში. მან პირველმა დაამტკიცა, რომ სამწახნაკოვან პრიზმამ გატარებულ სხივთა კონა ეკრანზე შეიღობა ფერის გამოსახულებას — სპექტრს იძლევა და რომ, ამრიგად, სინათლის თეორიის ფერი რთული ფერია.

ნიუტონი სინათლის კორპუსკული თეორიის მომხრე იყო, ე. ი. იგი თვლიდა, რომ სინათლე გამოსხივდება ცალკეული უმცირესი ნაწილაკების სახით. ეს შეხედულება შემდეგში სინათლის ტალღოვანმა თეორიამ შეცვალა. ამ ორი თვალსაზრისის სინთეზს კი თანამედროვე კვანთთა თეორია იძლევა.

ნიუტონი გარდაიცვალა 225 წლის წინათ, 1727 წლის 31 მარტს.

გარეკანის პირველ გვერდზე — ლავოცენის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ სამედიცინო პუნქტში (ფოტო მ. მიხაილოვისა). მეორე გვერდზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელენე ნატროშვილი ტრაქტორის საჭესთან (ფოტო მ. კვირიკაშვილისა). მესამე გვერდზე — თბილისი. რუსთაველის პროსპექტი (ფოტო შ. ჩოფიაშვილისა). მეოთხე გვერდზე — სახალხო გმირის არსენას მონუმენტი მცხეთაში. მოქანდაკე ელენე მაჩაბელი (ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა).


ჩართულ გვერდებზე მოთავსებულია — მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტები: „ვერკო ანჯაფარძე მარგარიტა გოტიეს როლში“ და „ნატო ვაჩნაძე“, მოქანდაკე ეთერი კაკაბაძის „ნინო დუმბაძე“, ქობულეთის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ა. გოგიტიძე (ფოტო მ. მიხაილოვისა).

რედაქტორი — გრიგოლ აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარ., № 91. ტელ. № 3-95-38 | ფერადი რეპროდუქციები დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/III -52 წ. გამოცემა № 34
ნაბეჭდი ფურც. 37/2, ტირაჟი — 15.000
შეკვ. № 142
შე 02442

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სატყვის კომპანია. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



პორიზონტალურად:

5. ჯუჯა სახელმწიფო ვერობაში. 6. გეოლოგიური პერიოდი. 9. მორტორის ნაწილი. 10. გეომეტრიული ტერმინი. 15. ბაირონის ნაწარმოებები. 16. პროზაგანდისტი. 17. მუსიკალური ინსტრუმენტი. 20. ნავთობის პროდუქტისა და ქვიშის ნარევი. 21. ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკე. 22. დროის მონაკვეთი. 25. მითოლოგიური ქალღმერთი. 26. დრამატული ქანრის სახეობა. 27. საჯარისო ერთეული. 29. საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი. 35. რუსი მოგზაური. 36. კურორტი საქართველოში. 37. ქართული ზალეტი. 40. მდინარე ვერობაში. 41. დიდი ქართველი მგოსანი. 42. მინერალის ნიმუში კოლქციისათვის. 45. ძველ ქართველთა მითოლოგიური გმირი. 46. წესდება, დებულება. 47. ძველ ქართული აკადემიის ადგილ-სამყოფელი. 48. ტროიკის უდაბური ტყე-ვერტიკალურად:

1. შემოქმედი. 2. საზღვაო შეიარაღებული დაცვა. 3. მათემატიკის დარგი. 4. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 7. ფრანგი მწერალი. 8. საქონლის გადაზიდვა სხვა სახელმწიფოზე გავლით. 11. მინერალი. 12. წყნარი ამინდი ზღვაზე. 13. ქიმიური ელემენტი. 14. შეხედულება, მრწამსი. 18. ინგლისური ფული. 19. მცენარეთა გამრავლების ხერხი. 23. ნავსადგური არაბეთის ნახევარკუნძულზე. 24. მუშაობის საზომი ერთეული. 28. სატირული შინაარსის პატარა ლექსი. 30. საერთაშორისო ხელშეკრულება. 31. იტალიელი კომპოზიტორი. 32. საფეიქრო მრეწველობის ნახევარფაბრიკატი. 33. სპორტის სახეობა. 34. მცენარეული ზეთი. 38. პერიოდული გამოცემა. 39. პლანეტა. 43. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. 44. თანამედროვე პროგრესული ფრანგი მწერალი.

„დროშის“ № 1 (6)-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

პორიზონტალურად:

3. რემა. 6. მითი. 8. თერმოსი. 10. სურმა. 11. კრავი. 12. ანდერსენი. 15. ამური. 19. ბუფი. 21. ბროდვეი. 22. პალეოანთროპოლოგია. 23. მსაჯული. 24. ტიგრი. 25. არმია. 30. აბორიგენი. 32. აჭარა. 33. დუმი. 34. ბარნოვი. 35. ტარა. 36. აგნი.

ვერტიკალურად:

1. შრომა. 2. ნიხრი. 4. ათონი. 5. ამირანდარეჯანიანი. 6. მიჯნა. 7. ჯულფა. 9. სვირი. 13. პროლეტარი. 14. ბულდოზერი. 15. მონარქი. 17. ურზნისი. 18. ნეაპოლი. 20. რაციონი. 24. ტაიფი. 26. ატამი. 27. ობობა. 28. უნცია. 29. შრატა. 31. მუშია.



